პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 286 (11897)
კვირა, 11 დეკემბერი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

## მეგობრობის მიტინგი

**მოსკოვი, 10 დეკემბერი. (საკდესი).** დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის მიტინგი, რომელიც მოაწყეს საკავშირო პროფსაბჭომ, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირმა, საბჭოთა ქალების კომიტეტმა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტმა.

მიტინგს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. ი. ერიომენკო და კ. კ. როკოსოვსკი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი თ. ი. გოლიკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილნი, გამოხატეს რა სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობები გმირი კუბელი ხალხისადმი, მქუხარე ტაშით შეხვდნენ მიტინგზე მოსულ კუბის მთავრობის ეკონომიური მისიის მეთაურს, ერთ-ერთ თვალსაჩინო კუბელ სახელმწიფო მოღვაწეს ერნესტო ჩე გევარას, ამ მისიის წევრებს, კუბის რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში ფაური ჩომონ მედიავილიას.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პირველი სახელმწიფო [illegible] ხარატმა ვ. კ. ჩუგუნოვმა, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა ტ. კრუპენიკოვამ, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის საბჭოთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. პ. გერასიმოვმა.

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კუბის მთავრობის ეკონომიური მისიის მეთაურს ერნესტო ჩე გევარას, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. მან ილაპარაკა კუბელი ხალხის ბრძოლაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახალი ცხოვრებისათვის.

მიტინგი გადაიქცა სსრ კავშირისა და კუბის ხალხთა გულითადი მეგობრობის მკაფიო დადასტურებად.

# მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი

ჩვენ, მსოფლიოს ხუთი კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელნი, რომელნიც შევიკრიბენით მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავზე, კაცობრიობის ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულნი, მოგმართავთ თქვენ მოწოდებით **საყოველთაო ბრძოლისათვის მშვიდობის დასაცავად, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ.**

სამი წლის წინათ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მშვიდობის მანიფესტით მიმართეს მთელი დედამიწის ხალხებს. მას შემდეგ მშვიდობის ძალებმა თვალსაჩინო გამარჯვებანი მოიპოვეს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

და დღეს ჩვენ მშვიდობის საქმის გამარჯვების კიდევ უფრო მტკიცე რწმენით შეგვიძლია გამოვიდეთ ომის საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მილიონობით ქალს, კაცსა და ბავშვს. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა იმის ესოდენ რეალური შანსები, რომ სინამდვილედ ვაქციოთ ხალხთა საუკუნეობრივი მისწრაფება — იცხოვრონ მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში.

ომის კატასტროფის საფრთხის წინაშე, რომელიც უდიდეს მსხვერპლს, ასეულ მილიონობით ადამიანის დაღუპვას გამოიწვევდა, ნანგრევებად აქცევდა მსოფლიო ცივილიზაციის ძირითად ცენტრებს, მშვიდობის შენარჩუნების საკითხი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, აღელვებს მთელ კაცობრიობას.

ჩვენ, კომუნისტები, ვიბრძვით მშვიდობისათვის, საყოველთაო უშიშროებისათვის, ისეთი პირობებისათვის, რომლებშიც ყველა ადამიანი და ყველა ხალხი ისარგებლებს მშვიდობიანი და თავისუფალი ცხოვრების სიკეთით.

ყოველი ცალკეული სოციალისტური ქვეყნის და მთლიანად მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მიზანი ის არის, რომ უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა ყველა ხალხისათვის.

სოციალიზმს არ ესაჭიროება ომი. ისტორიული ბრძოლა ძველ და ახალ წყობილებას შორის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის უნდა გადაწყდეს არა მსოფლიო ომის გზით, არამედ მშვიდობიანი შეჯიბრებით, შეჯიბრებით იმისათვის, თუ რომელი საზოგადოებრივი წყობილება მიაღწევს ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის უფრო მაღალ დონეს, უზრუნველყოფს ხალხის მასებისათვის ცხოვრების საუკეთესო პირობებს.

ჩვენ, კომუნისტებს, ჩვენს წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია ყველაფერი გავაკეთოთ, რაც კი ძალგვიძს, რათა ვიხსნათ კაცობრიობა თანამედროვე ომის საშინელებათაგან.

ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ, რომელნიც მიჰყვებიან დიდი ლენინის მოძღვრებას, თავიანთ საგარეო პოლიტიკას საფუძვლად დაუდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა **მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.**

ჩვენს ეპოქაში ხალხებსა და სახელმწიფოებს მხოლოდ ერთი არჩევანი აქვთ: მშვიდობიანი თანაარსებობა და სოციალიზმის შეჯიბრება კაპიტალიზმთან — ან ადამიანთა გამჟლეტი ატომური ომი. სხვა გზა არ არსებობს.

საიდან მოელის საფრთხე მთელი მსოფლიოს მშვიდობას?

მშვიდობაზე ყველა მთავრობა ლაპარაკობს, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს არა სიტყვას, არამედ საქმეს.

ისევე როგორც წარსულში, ამჟამად აგრესიული ომების ორგანიზატორები და ინიციატორები არიან იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული, მონოპოლისტური და სამხედრო წრეები. მშვიდობას ემუქრება პოლიტიკა იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობებისა, რომლებიც, თავიანთი ხალხების ნების წინააღმდეგ, თავს ახვევენ ქვეყნებს დამღუპველ გამალებულ შეიარაღებას, აღვივებენ „ცივ ომს“ სოციალისტური და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ, ახშობენ ხალხთა თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებებს.

**დაე ამეტყველდნენ ფაქტები!**

ხალხები მიესალმნენ წინადადებებს საყოველთაო, სრული და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების შესახებ, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა კავშირმა და რომლებსაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ. ვინ ეწინააღმდეგება ამ წინადადებათა განხორციელებას? იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებიც კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების ნაცვლად გვთავაზობენ კონტროლს შეიარაღებისადმი და ცდილობენ ფუჭ ლაყბობად გადააქციონ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ.

ხალხებს უხარიათ ის, რომ სამი დიდი სახელმწიფო უკვე ორი წელია არ აწარმოებს ატომური იარაღის გამოცდას. ვინ ეწინააღმდეგება იმას, რომ გადაიდგას ახალი ნაბიჯი და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ მომაკვდინებელი გამოცდის საბოლოოდ აკრძალვის შესახებ? იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები, რომელნიც დაუსრულებლივ აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ განაახლონ ატომური იარაღის გამოცდა და მუდამ იმუქრებიან ჩაშალონ მოლაპარაკება მისი აკრძალვის შესახებ, მოლაპარაკება, რომელზეც ისინი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ხალხების ზეგავლენით.

ხალხებს არა სურთ, რომ მათს სუვერენულ ტერიტორიებზე რჩებოდნენ უცხოეთის სამხედრო ბაზები; ისინი გამოდიან აგრესიული სამხედრო პაქტების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავენ მათი ქვეყნების დამოუკიდებლობას და საშიშ მდგომარეობაში აყენებენ მათ.

ვინ ეწინააღმდეგება ამას?

ესენი არიან ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც დასავლეთგერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს აძლევენ სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, ხელში აძლევენ მათ მასობრივი მოსპობის იარაღს, აჩქარებენ ნატოს ჯარების ატომურ შეიარაღებას.

ესენი არიან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებმაც თავს მოახვიეს აგრესიული სამხედრო პაქტები იაპონიას, პაკისტანსა და შუა და შორეული აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებს, აქეზებენ მათ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, ოკუპირებული აქვთ სამხრეთი კორეა და თავიანთ სამხედრო პლაცდარმად გადააქციეს იგი, აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს, ერევიან ლაოსისა და სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში, მხარს უჭერენ ჰოლანდიელ იმპერიალისტებს დასავლეთ ირიანში, ბელგიელ იმპერიალისტებს — კონგოში, პორტუგალიელ იმპერიალისტებს — გოაში და სხვა კოლონიზატორებს, ამზადებენ შეიარაღებულ ინტერვენციას კუბის რევოლუციის წინააღმდეგ, სამხედრო პაქტებში ითრევენ ლათინური ამერიკის ქვეყნებს.

ესენი არიან ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ჩინეთის კუნძული ტაივანი, განუწყვეტლივ გზავნიან თავიანთ სამხედრო თვითმფრინავებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში და ამავე დროს ფეხქვეშ თელავენ მის იმ კანონიერ უფლებას, რომ თავისი წარმომადგენლობა ჰყავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სამოქმედოდ გამზადებული რაკეტული დანადგარები, ატომგულის იარაღით გავსებული საწყობები, წყალბადისბომბებიანი თვითმფრინავები, რომლებიც ჰაერში დაფრინავენ, თავდასხმისათვის გამზადებული სამხედრო ხომალდები და წყალქვეშა ნავები, რომლებიც ზღვებსა და ოკეანეებში მიმოდიან, სამხედრო ბაზების ქსელი სხვის ტერიტორიებზე — აი როგორია იმპერიალიზმის თანამედროვე პრაქტიკა. ასეთ ვითარებაში დედამიწის ყოველ ქვეყანას, დიდსა თუ მცირეს, შეიძლება უეცრად მოედოს ატომური ომის ალი.

იმპერიალიზმი ომის ზღვარზე აყენებს მსოფლიოს ერთ მუჭა მსხვილ მონოპოლიათა და კოლონიზატორთა ეგოისტური ინტერესებისათვის.

მშვიდობის მტრები ავრცელებენ მონაჭორს ვითომდა „კომუნისტური აგრესიის“ შესახებ. ასეთი სიცრუე მათ იმისათვის ესაჭიროებათ, რომ დაფარონ თავიანთი ნამდვილი მიზნები, შებოჭონ ხალხთა ნებისყოფა და გაამართლონ მათ თვალში გამალებული შეიარაღება.

**მუშებო, გლეხებო, გონებრივი შრომის მუშაკებო! მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებო!**

კაცობრიობისათვის ჩვენს დროში არ არსებობს უფრო გადაუდებელი ამოცანა, ვიდრე არის ბრძოლა რაკეტულ-ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ჩვენს დროში არ არის უფრო კეთილშობილური მოვალეობა, ვიდრე ამ ბრძოლაში მონაწილეობა.

შესაძლებელია თუ არა მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში?

ჩვენ, კომუნისტები, ვუპასუხებთ:

**ომი გარდუვალი არ არის, ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მშვიდობა შეიძლება დავიცვათ და განვამტკიცოთ.**

ჩვენს ამ რწმენას გვიკარნახებს არა მარტო ჩვენი მისწრაფება მშვიდობისადმი და სიძულვილი ომის გამჩაღებლებისადმი. ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა გამომდინარეობს მსოფლიოში ახალი ვითარების რეალური ფაქტებიდან.

თანამედროვეობის სულ უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა. სოციალისტური სისტემა, რომელიც მოიცავს კაცობრიობის მესამედზე მეტს, ამ სისტემის მთავარი ძალა — საბჭოთა კავშირი — იყენებს თავის განუწყვეტლივ მზარდ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ძლიერებას, რათა შებოჭოს იმპერიალიზმის მოქმედება, ხელფეხი შეუკრას სამხედრო ავანტიურების მომხრეებს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, რომელსაც მაღლა უჭირავს მშვიდობისათვის ბრძოლის დროშა, აძლიერებს ხალხების სიფხიზლეს, დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს აღაფრთოვანებს აქტიური მოქმედებისათვის იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მრავალმილიონიანი ხალხები, რომლებმაც მოიპოვეს თავიანთი თავისუფლება და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და ხალხები, რომლებიც იბრძვიან ეროვნული თავისუფლებისათვის, ხდებიან სულ უფრო აქტიური მებრძოლები მშვიდობისათვის, სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ბუნებრივი მოკავშირენი.

მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრედ გამოდიან ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც არ ეთანხმებიან იმპერიალისტების აგრესიულ პოლიტიკას.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა ახლა მილიონობით ადამიანს აერთიანებს. თვითეულ ქვეყანაში ამ მოძრაობის მონაწილენი ისწრაფვიან დაიცვან თავიანთი სამშობლო ახალი ომის ხანძრისაგან.

მთელ ამ მშვიდობისმოყვარე ძალებს, გადამწყვეტი ბრძოლისათვის შეკავშირებულთ, შეუძლიათ ჩაშალონ დანაშაულებრივი სამხედრო გეგმები, შეინარჩუნონ მშვიდობა და განამტკიცონ მეგობრობა ხალხთა შორის.

მშვიდობა თავისთავად როდი მოდის. იგი შეიძლება დავიცვათ და განვამტკიცოთ მხოლოდ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივი ბრძოლით.

**ჩვენ, კომუნისტები, მოვუწოდებთ ყველა მშრომელს, ყველა კონტინენტის ხალხებს:**

იბრძოლეთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, „ცივი ომის“ წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ! ის უდიდესი სახსრები, რაც შეიარაღებაზე იხარჯება, მშვიდობიანი მიზნებისათვის რომ იქნას გამოყენებული, ეს შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს ხალხის მასების მდგომარეობა, შემცირდეს უმუშევრობა, გადიდდეს ხელფასი და ამაღლდეს ცხოვრების დონე, გადიდდეს საშინაო მშენებლობა, უფრო ფართოდ გაიშალოს სოციალური დაზღვევა.

ნუ დაუშვებთ ატომური შეიარაღების გაფართოებას, გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმის აღჭურვას მასობრივი მოსპობის იარაღით!

მოითხოვეთ საზავო ხელშეკრულების დადება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან და დასავლეთ ბერლინის გადაქცევა დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად!

იბრძოლეთ იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობათა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ახალი ქვეყნები ჩაითრიონ ცივ ომში, საომარი მზადების ორბიტაში!

მოითხოვეთ ლიკვიდაცია უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და გაყვანა ჯარებისა, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე არიან, და ახალი სამხედრო ბაზების შექმნის აკრძალვა! იბრძოლეთ იმისათვის, რომ გათავისუფლებულ იქნან ქვეყნები აგრესიული სამხედრო პაქტებისაგან, რომლებიც მათ თავს მოახვიეს! იბრძოლეთ იმისათვის, რომ დაიდოს შეთანხმებანი ატომგულის იარაღისაგან თავისუფალი ზონების შესახებ!

ნუ დაანებებთ, რომ გმირი კუბელი ხალხის თავისუფლება ჩაახშონ ეკონომიური ბლოკადის გზით ან ამერიკის მონოპოლიების შეიარაღებული ინტერვენციის გზით!

ჩვენ, კომუნისტები, ვიბრძვით რა მუშათა კლასისა და ხალხთა საქმისათვის, ხელს ვუწოდებთ სოციალ-დემოკრატებს, სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წევრებს, რომელნიც მშვიდობის მომხრედ გამოდიან, პროფესიული კავშირების ყველა წევრს, ყველა პატრიოტს: იმოქმედეთ ჩვენთან ერთად მშვიდობის დასაცავად, განიარაღებისათვის. მივაღწიოთ შეთანხმებულ მოქმედებას!

შევქმნათ ახალი ომისათვის იმპერიალისტების მომზადების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტი!

ერთად დავიცვათ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები, ვიბრძოლოთ რეაქციისა და ფაშიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ, რასიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, მონოპოლიების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ, მილიტარიზაციის წინააღმდეგ ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**ხალხთა ბრძოლა თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ასუსტებს ძალებს, რომლებიც ომს ესწრაფვიან, და ამრავლებს მშვიდობის ძალებს.**

ახალი ცხოვრებისათვის იღვიძებს აფრიკა, რომლის ხალხებიც ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ კოლონიური მონობისა და ბარბაროსული ექსპლოატაციის უღელქვეშ. აფრიკის ხალხები, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ქმნიან, ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან როგორც ახალგაზრდა, სულ უფრო დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე ძალა.

მაგრამ ისტორიისაგან განწირული კოლონიალიზმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოსპობილი.

უხეში ძალადობა და ტერორი უღობავს თავისუფლების გზას აღმოსავლეთ აფრიკის ხალხებს — ბრიტანეთისა და პორტუგალიის კოლონიებში. სამხრეთ აფრიკის კავშირში რასისტული რეჟიმი მძვინვარებს. აი უკვე ექვსი წელია მამაცი ალჟირელი ხალხი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებისათვის, სისხლით იცლება ომში, რომელიც მას თავს მოახვიეს ფრანგმა კოლონიზატორებმა, რომლებსაც ეხმარებიან მათი ატლანტიკელი თანამზრახველები. კონგოში იმპერიალისტები არავითარ საშუალებას არ თაკილობენ, რათა ყალთაბანდური მაქინაციებითა და მოსყიდვით დაამხონ კანონიერი მთავრობა და თავიანთ მორჩილ მარიონეტებს გადასცენ ძალაუფლება.

ხალხები, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება, განაგრძობენ მძიმე ბრძოლას კოლონიალიზმის ახალი ფორმების წინააღმდეგ, ამერიკელი და დასავლეთგერმანელი კოლონიალისტების წინააღმდეგ, ძველი ინგლისელი, ფრანგი და სხვა მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ თავიანთ ხელში ბუნებრივი სიმდიდრე, შახტები და პლანტაციები, ხელი შეუშალონ განთავისუფლებული ქვეყნების სამრეწველო განვითარებას, თავს მოახვიონ მათ მოღალატე და რეაქციული მთავრობები.

**ძმებო კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში და განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყნებში!**

**დგება კოლონიალიზმის აღსასრულის ჟამი!**

ჩვენ, კომუნისტები, თქვენთან ვართ! თქვენთან არის სოციალისტურ სახელმწიფოთა მძლავრი ბანაკი!

თქვენთან ერთად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ აღიარებულ იქნას ყველა ხალხის დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

დაე თქვენი ქვეყნების სიმდიდრე და მშრომელთა ღონისძიებანი მოხმარდეს მხოლოდ თქვენი ხალხების კეთილდღეობას!

თქვენი ბრძოლა სრული სუვერენიტეტისა და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, თქვენი თავისუფლებისათვის მშვიდობის წმიდა საქმეს ემსახურება!

**ჩვენ, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მოვუწოდებთ**

**ქალებს, კაცებსა და ახალგაზრდობას, ყველა პროფესიისა და საზოგადოებრივი ფენის ადამიანებს,**

**ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა და სარწმუნოებისა, მიუხედავად მათი ეროვნებისა და კანის ფერისა,**

**ყველას, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო და სძულს ომი.**

**მოითხოვეთ დაუყოვნებლივ აიკრძალოს ატომგულის იარაღის, აგრეთვე სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის გამოცდა, წარმოება და გამოყენება.**

**მოითხოვეთ დაუყოვნებლივ დაიდოს ხელშეკრულება საყოველთაო, სრული და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების შესახებ.**

დაე თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა ნუღარ შეუწყობენ ხელს სიკვდილისა და მოსპობის იარაღის წარმოებას, დაე ისინი ემსახურონ ადამიანთა კეთილდღეობას, კაცობრიობის პროგრესს!

დაე სამხედრო დაჯგუფებათა ნაცვლად გაიმარჯვოს მეგობრულმა თანამშრომლობამ, ფართო სავაჭრო და კულტურულმა გაცვლამ ყველა ქვეყანას შორის!

ჩვენ ეპოქაში

**მშვიდობის ძალები სჭარბობენ ომის ძალებს!**

ხალხები მიაღწევენ კეთილშობილურ და სანატრელ მიზანს — დაიცვან მშვიდობა, თუ გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს და ბეჯითად და აქტიურად იბრძოლებენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

კომუნისტები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ ამ საქმეს.

**მშვიდობა სძლევს ომს!**

---

## არის 21-ე ჰიდროაგრეგატი!

### სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგური მთელი სიმძლავრით ამუშავდა

**სტალინგრადი, 9 დეკემბერი. (საკდესი).** დღეს საღამოს სამრეწველო დენი გამოუშვა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის უკანასკნელმა, 21-ე ჰიდროაგრეგატმა. ამგვარად მსოფლიოში უდიდესი ჰიდროკვანძი მწყობრში ჩადგა. ჰიდროკვანძის ტურბინთა საერთო სიმძლავრეა 2 მილიონ 415 ათასი კილოვატი.

---

## არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მარშალი ა. ჰ. ამერი სამშობლოში გაემგზავრა

**მოსკოვი, 10 დეკემბერი. (საკდესი).** არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მარშალი ა. ჰ. ამერი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით, სამშობლოში გაემგზავრა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებთან ერთად.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი გააცილეს ა. ი. მიქოიანმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ნ. ორგანოვმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მოჰამედ ა. ელ-კუნი, მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში.

ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შეასრულეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ი. მიქოიანმა და მარშალმა ა. ჰ. ამერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

---

## ამხ. ს. ა. ვეზიროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება

დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და აზერბაიჯანის სსრ მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აზერბაიჯანის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სულეიმან აზად ოღლი ვეზიროვი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

---

## ბავშვებს — კარგი წიგნი!



**მოსკოვი. (საკდესი).** საბავშვო ლიტერატურის პრობლემებს განიხილავდა სამი დღის განმავლობაში რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის, ამ კავშირის მოსკოვისა და ლენინგრადის განყოფილებათა გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა მიიპყრო არა მარტო მწერლების, არამედ განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკების, პედაგოგების, საბავშვო გამომცემლობათა და ბიბლიოთეკების წარმომადგენლების ყურადღება.

მწერლებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს ბავშვებისათვის კარგი წიგნები, რომლებიც შეესაბამება ჩვენი დროის მოთხოვნებს, ახალგაზრდა მკითხველთა სულიერ მოთხოვნილებებს. დისკუსიაში დიდი ადგილი დაიკავა საკითხმა საბავშვო ლიტერატურის გმირის შესახებ.

პლენუმის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში შეეხნენ პრობლემათა ფართო წრეს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის აღზრდის გაუმჯობესებას. კერძოდ, გამოითქვა სურვილი, რომ შეიქმნას ახალი საბავშვო ლიტერატურული ჟურნალი, გაფართოვდეს საბავშვო თეატრების ქსელი, მოეწყოს საბავშვო მეცნიერულ-პუბლიცისტური ლიტერატურის სპეციალური გამომცემლობა, შეიქმნას კინოსტუდია, რომელიც გამოუშვებს ფილმებს ბავშვებისათვის.

პლენუმმა წერილი გაუგზავნა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მწერლებმა პირობა დადეს, რომ მთელ ძალღონეს, მთელ ნიჭს მოახმარენ წიგნების შექმნას ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

---

## ჩვენი სტუმრები

თბილისის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა გაუმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას, რომელიც 10 დეკემბერს ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში. ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იან ნემეცი (ხელმძღვანელი), სლოვაკიის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ანდრეი პლავკა, სოციალისტური შრომის გმირი, კომბაინერი ალოიზ შეინერი, ტატრის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი ლიუდმილა ბაიდუშაკოვა-მრკოსოვა, „სლოვნაფტის“ საწარმოს სოციალისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე კოვაჩი, ს. კ. ნეიმანის სახელობის პრაღის თეატრის მსახიობი ალვა მარშალკოვა, სლოვაკიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების გამგე იან იანოვიცი, მხატვარი ოლლა ფეიკოვა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი იოზეფ პრჟიბორსკი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე ინდრჟიხ ვიბორნი.

---

## შეტაკება ალჟირის ქუჩებში

**პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესი).** დღეს დილით ქალაქ ალჟირში ახალი შეტაკებები მოხდა ჯარებსა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მონაწილეთა შორის. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ქუჩებში სკდება ცრემლსადენგაზიანი ბომბები და გრანატები. დილას დანგრეული ბარიკადების ადგილას ახალს აგებენ. ზოგიერთ ადგილას კოლონიალისტებმა შეავიწროვეს მთავრობის ჯარები. მაგრამ ჯავშანმანქანებზე დადგმული ტყვიამფრქვევების მუქარით ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

15 საათისათვის ადგილობრივი დროით ალჟირის ქუჩებში გაჩნდა მსუბუქი ტანკები, რომელთა დახმარებითაც ჟანდარმერია და ჯარები ცდილობენ აღადგინონ წესრიგი. ცოტა უფრო გვიან ხალხმა შეძლო გაჭრილიყო საზაფხულო სასახლესთან, სადაც არის ალჟირში საფრანგეთის მთავრობის გენერალური დელეგატის რეზიდენცია.

„საფრანგეთის ალჟირისათვის ბრძოლის ფრონტის“ (ულტრაკოლონიალისტების ორგანიზაცია) ხელმძღვანელობამ მიმართა ევროპელ მოსახლეობას მოწოდებით, რომელშიც აშკარად აცხადებს, რომ „ამჟამად დადგა მომენტი მოქმედებისათვის — ხვალ უკვე გვიან იქნება“, და კვლავ მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვისა და ქუჩებში დემონსტრაციების გამართვისაკენ.

საერთაშორისო ცხოვრება

---

## მოღალატეთა ჯგუფის ლიკვიდაცია კუბაში

**ჰავანა, 10 დეკემბერი. (საკდესი)** კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრო იუწყება, რომ 7 დეკემბერს პინარ-დელ-რიოს პროვინციაში აჯანყებულთა არმიისა და სახალხო მილიციის ძალებმა მოსპეს მცირე კონტრრევოლუციური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა გამცემი-დეზერტირი, აჯანყებულთა არმიის ყოფილი კაპიტანი კლოდომირო მირანდა მარტინესი. ბანდის ერთ-ერთი წევრი მოკლულია, ორი დაიჭირა და ბანდის დანარჩენ მონაწილეებთან ერთად დაპატიმრებულია.

# თავისუფლება პატრის ლუმუმბას!



ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ამ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ პატრის ლუმუმბას (მარჯვნიდან პირველი), რომელიც ლეოპოლდვილის აეროპორტში ჩაიყვანეს მობუტუს ბანდიტებმა.

მთელ მსოფლიოში ძლიერდება ხალხთა პროტესტი. ისინი მოითხოვენ პ. ლუმუმბას და მისი თანამებრძოლების განთავისუფლებას. უკანასკნელი ცნობებით, პროტესტი გამოაცხადეს გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიურომ და მთავრობამ, „იტალიის მშვიდობისათვის მოძრაობის“ ორგანიზაციამ, იუგოსლავიის მთავრობამ, ერაყის პრემიერ-მინისტრმა ყასემმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ეთიოპიის, ინდოეთის, ინდონეზიის, ცეილონისა და ბევრი სხვა ქვეყნის გაზეთებმა.

# მდგომარეობა კონგოში

**ნიუ-იორკი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იუწყება, სტენლივილის (აღმოსავლეთ პროვინციის დედაქალაქი, სადაც ძალაუფლება კანონიერი მთავრობის ხელშია) საოლქო კომისარმა ბერნარ სალუმუმ დეპეშები გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კონგოში დაიალს, აგრეთვე მობუტუსა და კასავუბუს, რომლებშიც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ პრემიერ მინისტრი ლუმუმბა. დეპეშაში ნათქვამია, რომ, თუ ლუმუმბა და მისი მთავრობის წევრები, რომლებიც მობუტუმ დააპატიმრა, არ იქნებიან განთავისუფლებული 48 საათის განმავლობაში, მაშინ დააპატიმრებენ აღმოსავლეთ პროვინციაში ბევრ ბელგიელს და მოახდენენ მათი ქონების კონფისკაციას. ჩვენ არ დავუშვებთ, ხაზგასმით აღნიშნულია დეპეშაში, რომ „კონგო ხელახლა გადააქციონ კოლონიად ბელგიელმა იმპერიალისტებმა“.

ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ პროვინციის ხელისუფლების ორგანოებს ახლა მეთაურობენ ბერნარ სალუმუ (სტენლივილის საოლქო კომისარი და ლუმუმბას პირადი მდივანი), პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტუან გიზენგა და ლუმუმბას ძმა — ლუი ლუმუმბა.

**პარიზი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „უხურუ“ („დამოუკიდებლობა“), რომელიც „კონგოს ეროვნული მოძრაობის“ პარტიის ორგანოა და გამოდის სტენლივილში (ამ პარტიას ლუმუმბა მეთაურობს), მოწინავე სტატიაში მოუწოდებს ხალხს, რომ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყოს მობუტუელთა ბანდების თარეშის წინააღმდეგ. რომლებსაც ფულსა და იარაღს კოლონიზატორები აწვდიან. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს სტენლივილელი კორესპონდენტი იუწყება, „უხურუ“ ხაზგასმით აღნიშნავს სარედაქციო სტატიაში: „ძალადობაზე ძალადობითვე ვუპასუხებთ. ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში — ტყეებსა და მინდვრებში. ტყვიაზე ისრით, შუბით, დანით ვუპასუხებთ“.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღმოსავლეთ პროვინციაში იუწყება, რომ გუშინ სტენლივილის პირველმა ბურგომისტრმა ჟანგენგიმ გამოსცა დეკრეტი იმის შესახებ, რომ აფრიკელებს გადაეცემა ყველა საკომანდო ადმინისტრაციული და ეკონომიური პოსტი სტენლივილის ბანკებში, სამრეწველო და კომერციულ კომპანიებში, რომლებიც ამჟამად ევროპელთა, ძირითადად ბელგიელთა ხელშია. დეკრეტი ავალდებულებს ევროპელებს, რომლებსაც ამჟამად ეს პოსტები უკავიათ, დროებით დარჩნენ ამ საწარმოთა ახალ აფრიკელ ხელმძღვანელებთან, როგორც ექსპერტები.

**ნიუ-იორკი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები ლეოპოლდვილიდან იუწყებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა კონგოში „შეშფოთებულია“ აღმოსავლეთ პროვინციის მდგომარეობით. ეს სარდლობა, რომელმაც ხელი არ გაანძრია, რათა აეცილებინა ლუმუმბას დაპატიმრება, ახლა, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს“ იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიწყეს კანონიერი მთავრობის მომხრეებმა სტენლივილში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ქვეგანაყოფებს, რომლებიც კონგოს სხვადასხვა რაიონში არიან, მითითება აქვთ მიცემული, რომ სასწრაფოდ წავიდნენ სტენლივილში, რათა გააძლიერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები ამ ქალაქში, სადაც 900 ჯარისკაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა ამ ბრძანებას იმით ამართლებს, თითქოს აუცილებელია „დაიცვან თეთრკანიანები“ აღმოსავლეთ პროვინციის დედაქალაქში.

# მშვიდობის მომხრეთა ხმა

## გოლო უნდა მოეღოს კოლონიზატორთა თვითნებობას კონგოში

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრენი, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდად შეშფოთებული არიან კონგოს უკანასკნელი ამბების გამო. კოლონიალიზმის შავბნელი ძალები უტიფრად თელავენ კონგოელი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას, რომელიც მან ესოდენ დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვა. კონგოში მძვინვარებს ტერორი, რომელსაც გარედან ხელს უწყობენ კოლონიზატორები. ჩაიდინეს უხეში თვითნებობისა და ძალადობის აქტი პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას, კონგოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და პარლამენტის დეპუტატების მიმართ.

კონგოს ტრაგიკული ამბები კვლავ დამაჯერებლად მოწმობენ, რომ კოლონიზატორთა და მათ დამქაშთა სამარცხვინო მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კოლონიური რეჟიმის აღდგენას კონგოში, ართულებს საერთაშორისო ვითარებას, საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრენი თავიანთ ხმას უერთებენ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტს იმ თვითნებობის გამო, რასაც კოლონიზატორები და მათი აგენტები სჩადიან კონგოში, და მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პრემიერ-მინისტრი პ. ლუმუმბა და კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის სხვა წევრები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივი და ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელოს, რათა აღიკვეთოს ტერორი და უკანონობა კონგოში და უზრუნველყოს ამ ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის საქმიანობის აღდგენა, კონგოდან ყველა კოლონიზატორთა განდევნა, მობუტუს ბანდების განიარაღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ადამიანები მთელი სიმპათიითა და მხარდაჭერით ეკიდებიან კონგოელ ხალხს, რომელსაც ჭეშმარიტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უსურვებენ. საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეებს ღრმად სწამთ, რომ თავისუფლებისმოყვარე კონგოელი ხალხი მოიშორებს კოლონიური მონობის ბორკილებს, განდევნის კოლონიზატორებსა და მათს დამქაშებს და მიაღწევს სამართლიანობის გამარჯვებას.

საბჭოთა ადამიანები ყველა ქვეყნის მშვიდობის მეგობრებთან ერთად გადაჭრით მოითხოვენ:

თავისუფლება პატრის ლუმუმბას!

გაეთრიონ კოლონიზატორები კონგოდან!

**საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სახელით:**

**ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი, ი. ერენბურგი, ა. ნესმეიანოვი, ნ. პოპოვა, დ. შოსტაკოვიჩი, ვ. ფედოროვი, მ. ნესტეროვი, ვ. ტერეშკინი, ვ. ვასილევსკაია, მ. კოტოვი, ა. სურკოვი, ს. რომანოვსკი, ს. გერასიმოვი, ბ. პოლევოი, ვ. ბლაჟენოვი, ი. გლუშჩენკო, ო. ხვალებნოვა.**

# ასეთია საბჭოთა რეზოლუციის პროექტი კონგოს შესახებ

**ნიუ-იორკი**, 8 დეკემბერი. (საკდესი). 7 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს წევრებს დაუგზავნა პროექტი რეზოლუციისა კონგოს შესახებ, რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

უშიშროების საბჭო, რომელმაც განიხილა კონგოს რესპუბლიკის მდგომარეობა უკანასკნელი ამბების მიხედვით, რომლებიც მოწმობენ ამ მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კონგოში წარგზავნილი სპეციალური წარმომადგენლის 1960 წლის 5 დეკემბრის მოხსენება;

დიდად შეშფოთებულია იმით, რომ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას მობუტუს შეიარაღებულმა ბანდებმა უკანონოდ წაართვეს თავისუფლება და სხვა ძალადობას სჩადიან მის მიმართ;

აღნიშნავს, რომ ამ ბანდიტებმა უხეში თვითნებობა და ძალადობა ჩაიდინეს აგრეთვე კონგოს რესპუბლიკის პარლამენტის მთელი რიგი ხელმძღვანელი მოღვაწეებისა და მთავრობის წევრების მიმართ.

მიაჩნია, რომ მობუტუს შეიარაღებული ბანდების უკანონო მოქმედების განგრძობა აძლიერებს დაძაბულობას კონგოში და ხელს უშლის კონგოს პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას, დამღუპველ გავლენას ახდენს აფრიკის მდგომარეობაზე მთლიანად;

გადაჭრით გმობს, რომ ბელგია და სხვა კოლონიური სახელმწიფოები კვლავ ერევიან კონგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რაც ძირს უთხრის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და მისი სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ მოქმედებას, და აძლიერებს საფრთხეს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის,

მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან უზრუნველყოს, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა, სენატის თავმჯდომარე ოკიტო, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე კასონგო და სხვა მინისტრები და პარლამენტის დეპუტატები და ამავე დროს განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიებანი კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის საქმიანობის აღსადგენად;

წინადადებას აძლევს ჯარების სარდლობას, რომლებიც კონგოში გაიგზავნა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ განიარაღოს მობუტუს ტერორისტული ბანდები;

მოითხოვს, რომ ბელგიის მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დაუყოვნებლივ გაიყვანოს კონგოდან ბელგიის სამხედრო, დამხმარე სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი.

# პუტჩისტის დაპატიმრება

**პარიზი**, 8 დეკემბერი (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ტურნეში (ზემო პირენეის დეპარტამენტი) დაპატიმრებულია ფირნან ფერალი. — ერთ-ერთი ძირითადი ბრალდებული კოლონიალისტური პუტჩის ორგანიზაციის საქმის გამო ალჟირში. როგორც ცნობილია, ფერალი ლაგაიარდთან და სამ სხვა პუტჩისტთან ერთად გაიქცა პარიზიდან, ისარგებლა რა პატიმრობიდან დროებითი განთავისუფლებით.

# ალჟირი — ვულკანზე

## დე გოლის ტურნე ალჟირში

**პარიზი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით ადრე „კარაველის“ რეაქტიული თვითმფრინავით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე გოლი ალჟირში გაფრინდა; ეს პრეზიდენტის მორიგი, უკვე მეხუთე ტურნეა ამ ქვეყანაში მას შემდეგ, რაც იგი ხელისუფლების სათავეში დგას.

როგორც ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, პრეზიდენტის მოგზაურობის მიზანი ის არის, რომ ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას, გამოარკვიოს სამხედრო მოღვაწეთა, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მუსულმანთა განწყობილება. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, მიზანი ამ ექსკდიანი მოგზაურობისა, რომელიც ხორციელდება 8 იანვარს ალჟირის საკითხზე დანიშნული რეფერენდუმის წინ, — ის არის, რომ გადაიბირონ აღნიშნული წრეები „ალჟირის ალჟირის“ შექმნის თავიანთი პოლიტიკის მხარეზე. ამ პოლიტიკას მარცხნიდან აკრიტიკებენ იმიტომ, რომ იგი არსებითად უარყოფს მებრძოლი ალჟირის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას თვითგამორკვევის გარანტიებისა და ცეცხლის შეწყვეტის პირობების შესახებ.

ამ პოლიტიკას აგრეთვე მწვავედ აკრიტიკებენ მარჯვნიდანაც. ულტრაკოლონიალისტები მოითხოვენ, რომ შეიარაღებული ძალით ჩახშობილ იქნეს ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ალჟირში შენარჩუნებულ იქნეს კოლონიური რეჟიმი. როგორც ჩანს პრესისა და დეპეშათა სააგენტოების ცნობებიდან, „საფრანგეთის ალჟირის“ მომხრე ულტრაკოლონიალისტებს განზრახული აქვთ გამოიყენონ დე გოლის მოგზაურობა იმისათვის, რომ მოაწყონ დემონსტრაციები ალჟირში კოლონიური რეჟიმის შენარჩუნების მხარდასაჭერად. ისინი მოუწოდებენ, რომ დე გოლის ჩასვლის დღეს მთელ ალჟირში გამართოს 24-საათიანი გაფიცვა. ეგრეთწოდებული „საფრანგეთის ალჟირის ფრონტის“ ყველაზე აღვირახსნილმა რეაქციონერებმა გამოუშვეს ფურცლები, რომლებშიც აშკარად აცხადებენ, რომ შეიარაღებული გამოსვლა განახორციელონ მთავრობის წინააღმდეგ. აგრეთვე იუწყებიან, რომ მთელ რიგ ადგილებში ეს ორგანიზაცია ამზადებს აფეთქებასა და სხვა ტერორისტულ აქტებს. ქალაქ ორანის ცენტრში, ქალაქის რატუშის შენობასთან გუშინ აფეთქდა ბომბი.

ესოდენ დაძაბული ვითარებით შეშფოთებული საფრანგეთის ხელისუფლება წესრიგის დასაცავად საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებს. ქალაქ ალჟირში პოლიციამ და ჯარისკაცებმა გასინჯეს კერძო მფლობელთა და ქალაქში ჩამოსული ყველა პირის ავტომანქანები. გაზეთებზე დაწესებულია სასტიკი ცენზურა. აკრძალულია გამოაქვეყნონ განცხადებანი ალჟირში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ყოფილი სარდლისა და ულტრაკოლონიალისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის გენერალ სალანისა, რომელიც ამჟამად ესპანეთში იმყოფება. აკრძალულია აგრეთვე გამოაქვეყნონ ცნობა ჯარების ყოველგვარი მიმოსვლის შესახებ. დაწესებულია მკაცრი კონტროლი ალჟირში არსებული მდგომარეობის შესახებ ალჟირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ყველა განცხადების გამოქვეყნების თაობაზე.

მაგრამ ულტრაკოლონიალისტები ალჟირში იმდენად გათავხედდნენ, რომ საფრანგეთის მაღალი თანამდებობის მოხელეებს ეშინიათ მათ არ ხელყონ პრეზიდენტის სიცოცხლე. ამიტომ დე გოლის მოგზაურობა გარემოცულია დიდი საიდუმლოობით. მოგზაურობის მარშრუტს არ იუწყებიან, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ მარშრუტში არ შედის ქალაქები ალჟირი, ორანი და სხვა დიდი დასახლებული ცენტრები. სადაც ულტრაკოლონიალისტები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ.

# ჩინეთი მოითხოვს

**პეკინი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩინელი ხალხი მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა, სენატის თავმჯდომარე ოკიტო და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე კასონგო. ეს სამართლიანი მოთხოვნა, როგორც იუწყება სინხუას სააგენტო, გამოხატულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა პატრის ლუმუმბას დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია განცხადებაში, მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის იმპერიალიზმის საზიზღარ დანაშაულობათა წინააღმდეგ, იმპერიალიზმისა, რომელიც აგრესიასა და ჩარევას ახორციელებს კონგოში და ემუქრება აფრიკის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი მტკიცედ მოითხოვენ, რომ იმპერიალისტურმა წრეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა“ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია და ჩარევა კონგოს საქმეებში, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას, კონგოს პარლამენტის სენატის თავმჯდომარის ოკიტოსა და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის კასონგოსა და სხვათა დევნა, და დაუყოვნებლივ მიანიჭონ მათ თავისუფლება. დამნაშავენი, რომლებიც მათ დევნიან, უნდა დაისაჯონ. კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის კანონიერი მდგომარეობა პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას მეთაურობით დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს.

ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი გადაჭრით მხარს უჭერენ კონგოს ხალხს მის გმირულ ბრძოლაში იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატები და მათი ლაქიები მეთაურობენ.

# ძველი გზა, ძველი კურსი

## იკედას პრეს-კონფერენცია

**ტოკიო**, 9 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იტყობინება: დღეს პრემიერ-მინისტრმა იკედამ მოაწყო პრეს-კონფერენცია უცხოელი კორესპონდენტებისათვის. პრეს-კონფერენციაზე იკედამ დაადასტურა, რომ იაპონიის ახალი მთავრობა არ აპირებს არსებითად შეცვალოს თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსი.

კორესპონდენტთა შეკითხვებზე, აქვს თუ არა მთავრობას სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების რამე კონკრეტული გეგმა, იკედამ განაცხადა, რომ მთავრობას არა აქვს ასეთი გეგმები. მაგრამ, თქვა მან, ჩვენ გვინდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამ ქვეყნებთან და, კერძოდ, მოვაწესრიგოთ სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან.

უპასუხა რა შეკითხვაზე, თუ როგორ ესმის მთავრობას ურთიერთობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან, იკედამ განაცხადა: ჩვენი ვაჭრობა სსრ კავშირთან უმჯობესდება; მომავალ წელს იაპონიაში მოეწყობა საბჭოთა საქონლის გამოფენა. ჩვენ ვსწავლობთ აგრეთვე კულტურული კავშირ-ურთიერთობის საკითხს.

იკედამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა ჯერ არ ფიქრობს აწარმოოს მოლაპარაკება სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ ჩინეთთან მთავრობის დონეზე.

შეეხო რა საერთაშორისო ვითარების განვითარების პერსპექტივებს, იკედამ ილაპარაკა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირზე და თქვა, რომ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა თავიანთ დოკუმენტში განაცხადეს, რომ ომი არ არის გარდუვალი და რომ მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნეს უომოდ.

## საბჭოთა კავშირი გმობს კოლონიზატორთა პარპაშს კონგოში

*

## ვაშინგტონის „საჩუქარი“ კუბელ კონტრრევოლუციონერებს

*

## მაკმილანი თავს იძვრენს

*

## ალჟირში დე გოლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება

# საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

# კაიროს მტკიცე პოზიცია

**კაირო**, 9 დეკემბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი ის გადაწყვეტილება, რომ კონგოდან გაიყვანოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საპარაშუტო ჯარების ბატალიონი. რომელიც შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მიაჩნია, რომ როცა კონგოს კანონიერმა მთავრობამ დახმარება სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მოფიქრებული ნაბიჯი გადადგა სწორი მიმართულებით.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მიაჩნდა, ნათქვამია განცხადებაში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია უნდა ყოფილიყო ის, რომ უზრუნველეყო ბელგიის ჯარების ევაკუაცია კონგოდან, განემტკიცებინა კონგოს ეროვნული დამოუკიდებლობა და გაეწია მისთვის ყოველმხრივი საჭირო დახმარება. რათა უზრუნველეყო ამ დამოუკიდებლობის ძირითადი ელემენტები.

ითვალისწინებდა რა ამას, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დათანხმდა გაეგზავნა თავისი ჯარების ბატალიონი კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის განკარგულებაში, „რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეესრულებინა თავისი მოვალეობა კონგოში და უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი“.

მაგრამ, მალე, ცხადი გახდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა თავს არიდებს მისთვის მინდობილი მისიის განხორციელებას და იცავს იმპერიალიზმის ინტერესებს, გამოდის კონგოს კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამ ვითარებაში ცხადი გახდა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარების დატოვება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობაში, რომელმაც თავი აარიდა უშიშროების საბჭოს მიერ მინდობილი მისიის შესრულებას და დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები, როცა განახორციელა ამ პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედება, შეუძლებელი იყო, რამდენადაც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას არ შეეძლო გაეზიარებინა ამის პასუხისმგებლობა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა იმ ზომამდე მოექცა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენაში, რომ შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მშვიდობას, რომლის დასაცავად და განსამტკიცებლად შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

მაგრამ, ხაზგასმულია განცხადებაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას თავის მოვალეობად მიაჩნია შეუერთდეს სხვა სახელმწიფოებს, რომლებსაც სწამთ თავისუფლება და მშვიდობა, რათა მათთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი მშვიდობისა და თავისუფლების დასაცავად ისეთი საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამდვილი პრინციპების გამარჯვებას.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

◆

### იზრდება დიდი ბრიტანეთის კომპარტიის რიგები

**ლონდონი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ეროვნულმა ორგანიზატორმა უილიამ ლოპლენმა განაცხადა, კვლავ იზრდება რიცხვი განცხადებებისა კომპარტიაში შესვლის შესახებ. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში 189 კაცმა შემოიტანა განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ. სექტემბრიდან შემოტანილ განცხადებათა საერთო რიცხვი 1.546 შეადგენს.

ლოპლენმა აგრეთვე განაცხადა, რომ კომპარტიის წევრთა ერთმა მესამედმა უკვე შეცვალა პარტიული ბილეთები 1961 წლის ბილეთებით.

### დაპატიმრებანი ალჟირში

**პარიზი**, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალჟირიდან იუწყება, საფრანგეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ გუშინ იქ დააპატიმრეს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციათა 400 მონაწილე.

### თურქეთი ომის გზაზე

**სტამბოლი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). თურქეთში ჩამოსული ამერიკის დელეგაციის მეთაურმა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჩ. ჰოლიფილდმა განაცხადა, რომ დელეგაცია შეისწავლის თურქეთის შესაძლებლობებს ამ ქვეყანაში ნატოს დამრტყმელი ატომური ძალის შექმნის გეგმის განხორციელებაში, გეგმისა, რომელიც წამოაყენა ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ევროპაში ნორსტედმა.

# მდგომარეობა ლაოსში

**პარიზი**, 10 დეკემბერი. (საკდესი). ტელეგრაფს სულ უფრო და უფრო საგანგაშო ცნობები მოაქვს ლაოსიდან. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ დატოვა ლაოსის დედაქალაქი ვიენტიანი და თვითმფრინავით პნომპენს (კამბოჯა) ჩავიდა.

**ნიუ-იორკი**, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები ლაოსიდან იუწყებიან, მეამბოხეთა გენერალ ფუმი ნოსავანის ჯარებმა, რომელთაც მხარს უჭერს ტაილანდის ტერიტორიაზე განლაგებული არტილერია, გაარღვიეს თავდაცვითი ხაზი ვიენტიანის აღმოსავლეთით და მიდიან ლაოსის დედაქალაქის მიმართულებით. ამ ჯარების პირველი რაზმები უკვე მივიდნენ ქალაქთან და შეუერთდნენ მეამბოხეებს, რომლებიც თვითმფრინავებიდან გადმოსხეს ვიენტიანის გარეუბნებში. მეამბოხეები აგრეთვე გადასხამენ თავიანთ ჯარებს ვიენტიანში ტაილანდის ტერიტორიიდან, მათ, როგორც აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, თავიანთ შეიარაღებაში აქვთ „ისეთი არტილერია, როგორიც ლაოსში დღემდე არ უნახავთ“, მათ შორის 105-მილიმეტრიანი ჰაუბიცები და ნაღმსატყორცნები. ეს იარაღი მეამბოხეებს უკანასკნელ თვეებში მიაწოდეს ტაილანდმა და შეერთებულმა შტატებმა.

**პარიზი**, 10 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ვიენტიანი ალყაშემორტყმული ქალაქივით გამოიყურება. შემოღებულია სრული ჩაბნელება, ყოველ მომენტში მოელიან დიდი ბრძოლის დაწყებას.

როგორც კორესპონდენტი ამტკიცებს, პოლკოვნიკ კოუ პრაჩიტ აბჰაის ჯარები, რომლებიც წარუმატებელი ამბოხების შემდეგ უკუიქცნენ ჩინაიმოს ბანაკში, ვიენტიანიდან ოთხ კილომეტრ მანძილზე, შეუერთდნენ მეამბოხეთა გენერალ ფუმი ნოსავანის ჯარებს.

თვითონ ვიენტიანში ქუჩებში პატრულირებას ახორციელებენ კაპიტან კონგ ლეს ჯარების ტანკები და ჯავშნოსნები; ამ ჯარების შემადგენლობაში შედიან პარაშუტისტთა მეორე და მესამე ბატალიონების ქვეგანაყოფები.

# მოსყიდვა, შანტაჟი

## ამერიკელთა დახმარება კუბელ მოღალატეებს

**ნიუ-იორკი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ იუწყება, ამერიკის ნავთობის კომპანიამ „ტეხას ოილ კომპანიმ“ განაცხადა, რომ იგი „საჩუქრად“ აძლევს 100 ათას დოლარს დახმარების გასაწევად კუბელ კონტრრევოლუციონერებს, რომლებიც ახლა მაიამიში და შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში ცხოვრობენ.

კომპანიის თავმჯდომარე ოჰასტეს ლონგი არ მალავს, თუ რა მიზნით ეძლევა ეს „საჩუქარი“. „ჩვენ გვაქვს დიდი კაპიტალდაბანდება კუბაში, — თქვა მან, — და ვფიქრობთ, რომ ოდესმე დავიბრუნებთ“.

შეეხო რა ამ საკითხს, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წარმომადგენელმა იმათთვის დახმარების კოორდინაციის საქმეში, ვინც შეერთებულ შტატებში გაიქცა კუბიდან, ტრესი ფორ ჰისმა განაცხადა, რომ ეს „საჩუქარი“ ამერიკის კომპანიის პირველი წვლილია კუბისადმი „დახმარების საქმეში“! მან აგრეთვე განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი იქნება იმის სტიმული, რომ ანალოგიური შეწირულება გაიღონ სხვა კომპანიებმაც.

# კუბის პროტესტი

**ნიუ-იორკი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, კუბის მთავრობამ შეერთებულ შტატებს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ კუბის ტერიტორიაზე ჩამოვარდა კანავერალის კონცხიდან დაშვებული ამერიკული რაკეტის ნამსხვრევები, რომელიც ჰაერში აფეთქდა. ნოტაში ხაზგასმულია, რომ ეს ინციდენტი კუბის წინააღმდეგ შეერთებული შტატების საზიზღარი შეთქმულების ნაწილია.

**კუბა.** სახალხო მილიციის მებრძოლ ქალთა ქვეგანაყოფი.

**სინხუას სააგენტოს ფოტო.**

# მაკმილანის ორჭოფობა

**ლონდონი**, 9 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა, როგორც ლეიბორისტებმა, ისე კონსერვატორებმა, მოსთხოვეს პრემიერ-მინისტრ მაკმილანს განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. პარლამენტის წევრებს, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მაკმილანი ჩინეთის ხელმძღვანელებს შეხვდეს ლონდონში ან პეკინში, მაკმილანმა უპასუხა, ასეთი შეხვედრა „ამჟამად სასარგებლოდ არ მიმაჩნია“.

როცა კონსერვატორმა უორდმა თქვა, რომ მაკმილანი თვითონ უნდა ეწვიოს პეკინს და რომ ძალიან ბევრ ინგლისელს სურს, რომ მაკმილანმა ინიციატივა გამოიჩინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში, ინგლისის პრემიერმა განაცხადა, თითქოს ასეთი პირადი მოქმედება მოითხოვდეს რაღაც „ხელშემწყობ პირობებს“.

ლეიბორისტმა გეიტსკელმა, და კონსერვატორმა ოსბორნმა მოაგონეს მაკმილანს კანადის პრემიერ-მინისტრის ის მოთხოვნა, რომ დასავლეთმა რეალისტურად გადასინჯოს პოლიტიკა ჩინეთის მიმართ და აღიაროს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩინეთი მონაწილეობას იღებდეს ყოველ დიდ პოლიტიკურ შეთანხმებაში.

მაკმილანმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს, განაცხადა, ეს მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხიაო.

პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ნოელ-ბეიკერმა განაცხადა, რომ სანამ ჩინეთი თავის ადგილს არ დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დასავლეთი „ყოველთვის დაარღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას“.

# მეცნიერება, ცოდნა ფართო გზაზე

## თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-14 პარტიული კონფერენცია

**ჩვენი საუნჯე!** ეროვნული სიამაყე!
ცნიერების ტაძარი! — ასე უწოდებენ
ბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის
ხელმწიფო უნივერსიტეტს.
8.400 სტუდენტი, 500-მდე მეცნიერი
ა პედაგოგი, 130-ზე მეტი ასპირანტი,
2 ფაკულტეტი, 78 კათედრა, — ეს თა-
ვთავად შთამაგონებელი ციფრებია,
აგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ
ნივერსიტეტს სასწავლო-აღმზრდელო-
ითი და მეცნიერული მუშაობის დიდი
რადიცია და მდიდარი გამოცდილება
ქვს.

საქართველოს რომელ კუთხეშიც უნ-
ა წავიდეთ, სახალხო მეურნეობის რო-
ლი უბანიც უნდა ნახოთ, ყველგან შე-
ხვდებით სხვადასხვა დარგის კვალიფი-
ურ სპეციალისტებს თბილისის სახელ-
წიფო უნივერსიტეტის დიპლომით. აქ
ოღვაწეობს და ლექციებს კითხულობს
ერი გამოჩენილი მეცნიერი, რომელთა
ხელი შორს, სამშობლოს ფარგლებს
რეთ, უცხო ქვეყნებშიც დიდად არის
ნობილი.

ამ სახელოვანი კოლექტივის ავანგარდ-
დგას მძლავრი პარტიული ორგანიზა-
ა, რომელიც თავის რიგებში 600-ზე
ტ კომუნისტს აერთიანებს.

რა გაკეთდა უკანასკნელი ერთი წლის
ნძილზე სტუდენტთა სწავლება-აღზრ-
ის გაუმჯობესებისა და სამეცნიერო-
ლევითი მუშაობის გაძლიერების მხრივ?
მიღწევები და ხარვეზებია უნივერსი-
ტის საქმიანობაში? — აი საკითხები,
ომელთა შესახებ გულმოდგინედ მსჯე-
ობდნენ, მგზნებარებით ლაპარაკობ-
ნენ, თავიანთ სიხარულს, ზოგჯერ კიდევ
ლისტკივილს გამოთქვამდნენ მომხსე-
ბელი და კამათის მონაწილე დელეგა-
ები უნივერსიტეტის XIV პარტიულ
ნფერენციაზე.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტე-
ის პარტიული ორგანიზაციის ყოველ-
იური ზრუნვის საგანი იყო სტუდენტ-
ა იდეურ-თეორიული შეიარაღება და
სწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის
ძლიერება, — განაცხადა მომხსენებელ-
, პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ.
ჭანუყვაძემ. — მარქსისტულ-ლენინ-
რი თეორიის საკითხებზე სისტემატუ-
ად ეწყობოდა ლექციები, მოხსენებები,
ეორიული კონფერენციები. ამჟამად
ნივერსიტეტში შექმნილია 15 სემინა-
ი, აკადემიურ ჯგუფებში მუშაობს
0-ზე მეტი აგიტატორი.
კადრების მომზადების საქმეში პარტიის პოლიტიკის შესაბამისად გაფართოვდა დაუსწრებელი სწავლებისა და საღამოს განყოფილება. სტაციონარზე შეიქმნა ახალი დარგები და ჩვენი სტუდენტები ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, სწავლობენ ცხოვრებაში მათი გამოყენების ხერხებს. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ცოდნის შეძენით სტუდენტთა დაინტერესების გაძლიერების მაჩვენებელია აკადემიური წარმატებების ზრდა. ახლა სტუდენტთა ნახევარზე მეტი „ფრიადზე“ და „კარგზე“ სწავლობს, შემცირდა აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა რიცხვი.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მოპოვებულ მიღწევებზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1959 წლის თემატური გეგმის მიხედვით დამუშავდა 149 საუნივერსიტეტო და 113 საფაკულტეტო თემა. დაიბეჭდა და გამოიცა 32 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. შრომათა ერთი ნაწილი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს.

მაგრამ მიღწევებთან ერთად მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, მუშაობაში ხელისშემშლელ მიზეზებზე, მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე.

კონფერენციაზე გაკრიტიკებულ იქნა ეკონომიურ ფაკულტეტზე, განსაკუთრებით მის დაუსწრებელ განყოფილებაზე შექმნილი მდგომარეობა. აქ ხშირია უდისციპლინობა, დაბალია მომთხოვნელობა. რამდენიმე თვის წინათ გადახალისებულ იქნა ეკონომიური ფაკულტეტის ხელმძღვანელობა, გაერთიანდა დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებანი და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ნაკლოვანებანი მთლიანად გამოსწორდება.

თავის გამოსვლაში პროფ. შ. მესხიამ დააყენა საკითხი, რომ შემოიღონ საქართველოს ისტორიის სწავლება იურიდიულ ფაკულტეტზე და ეკონომიური ფაკულტეტის ზოგიერთ სპეციალობაზე, აგრეთვე ზოგიერთ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეც. შემდეგ ილაპარაკა საწარმოო-საველე პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში იგი გაცილებით უკეთესად ეწყობა. ეს მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, თუ უნივერსიტეტთან შეიქმნება სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ბაზა.

— მართალია, წელს საფინანსო ტექნიკუმის შენობა გადმოგვეცა, მაგრამ ფართობი მაინც არ გვყოფნის, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, — ეს ხელს გვიშლის იმაში, რომ განვახორციელოთ სერიოზული და მეცნიერების დღევანდელი დონის შესაფერისი ღონისძიებანი სწავლების გაუმჯობესების ხაზით. მთავრობამ გამოჰყო თანხები და პერსპექტიული გეგმის მიხედვით დაწყებულია მუშაობა უნივერსიტეტის დიდ მშენებლობათა დაპროექტებაზე. ამ ფართო მასშტაბის მშენებლობას რამდენიმე წელიწადი მოუნდება და მისი დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტს საკმაო ფართობი და მდიდარი სასწავლო-მატერიალური ბაზა ექნება.

შემდეგ აკადემიკოსი ე. ხარაძე შეეხო სწავლების ხარისხს. ახალგაზრდობას უნდა მივცეთ მტკიცე და მდიდარი ცოდნა და განვუვითაროთ უნარი ცოდნის მოხმარებისა საზოგადოების სასარგებლოდ. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესის ორგანიზაციას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხარისხოვანი სწავლება შეუძლებელია, თუ არ გვექნება მტკიცე დისციპლინა. მაგრამ დისციპლინას მარტო სტუდენტები კი არ არღვევენ, არამედ ლექტორებიც.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. აბუაძემ გააკრიტიკა პარტიული კომიტეტის ნაკლოვანებანი საზოგადოებრივ დავალებათა განაწილების საქმეში. — ზოგს სულ არა აქვს საზოგადოებრივი დავალება, — თქვა მან, — ზოგს კი 4-5 და მეტი დავალება ეძლევა.

ქიმიის ფაკულტეტის დეკანი ნ. ფირცხალავა შეეხო სახელმძღვანელოთა გამოცემის საკითხს და აღნიშნა, რომ ხშირად სახელმძღვანელოებს მცირე რაოდენობით სცემენ და არ ითვალისწინებენ მოთხოვნილებებს, ქიმიის სახელმძღვანელო გამოიცა 1.000 ცალი. მაშინ როცა 10.000-იც კი ცოტაა.

პროფ. დ. გამეზარდაშვილი შეეხო უნივერსიტეტის კონტინგენტის შერჩევის საკითხს და განაცხადა, რომ საშუალო სკოლის პროგრამის ცოდნასთან ერთად აბიტურიენტმა უნდა გამოამჟღავნოს რაღაც მეტი — განსაკუთრებული მიდრეკილება და უნარი არჩეული სპეციალობისადმი. მან მოითხოვა, რომ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღონ წამყვანმა მეცნიერმა მუშაკებმა. შემდეგ პროფ. გამეზარდაშვილმა აღნიშნა, რომ ლექციების ცხრილი შედგენილია ცუდად და ხშირად იცვლება.

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა კონფერენციას მოუთხრო კომკავშირული მუშაობის შესახებ. ბევრი ჩვენი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა, — თქვა მან, — შრომისა და სწავლის ნიმუშს გვიჩვენებს. წელს ჩვენი 200 სტუდენტი მონაწილეობდა ნაყამირალზე მოსავლის აღებაში, 700 ახალგაზრდა კი თბილისელ მშენებლებს ეხმარებოდა ზაფხულში. სწავლასა და შრომაში უკეთესი შედეგები გვექნებოდა, პროფესორ-მასწავლებლები ახალგაზრდობასთან უფრო ახლოს რომ იყონ, სისტემატურად რომ ესწრებოდნენ ჩვენს კრებებს, დასვენების საღამოებს, უფრო აქტიურად რომ გვეხმარებოდნენ ჩვენს საქმიანობაში, ახალგაზრდულ ღონისძიებებში.

ამხ. მეტრეველმა გააკრიტიკა უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“. გაზეთი, — თქვა მან, — ერთფეროვანია, ცუდად ფორმდება, და სტუდენტები ყოველთვის არ კითხულობენ მას.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ფიზიკის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი გ. გამცემლიძე, ეკონომიური ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ვ. დათუკიშვილი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე კ. ზაუტაშვილი, ე. კობერიძე, დოც. ს. ინწკირველი, ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი ვ. მელქაძე და დოც. ა. გონაშვილი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ქ. გარდაფხაძე.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო პარტიული კომიტეტის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში და დასახა ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. გ. ჭანუყვაძე.

**მ. აროშიძე.**

---

### «დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის»

საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
სთან არსებულმა საარქივო სამმართ-
ლომ პროფესორ შ. ჩხეტიას რედაქ-
ით გამოსცა მეორე წიგნი მრავალ-
ომეულისა „დოკუმენტები საქართვე-
ოს ისტორიისათვის“.

წიგნი მიძღვნილია საქართველოში
ჟუაზიული რეფორმების პერიოდი-
ადმი და შეიცავს ხუთ განყოფილებას:
ლაქების ისტორია და განვითარება,
ვარა-გადასახადები, ფინანსები და
რობა-მრეწველობა, საზოგადოებრივი
რი, კულტურა, განათლება და საერ-
ო მიმოხილვა.

დოკუმენტებს წამძღვარებული აქვს
ოფ. შ. ჩხეტიას შესავალი და დართუ-
აქვს პირთა, გეოგრაფიულ სახელთა
საგანსაკითხთა საძიებლები, შეიცავს
49-XXV გვერდს. ღირს 30 მან.

---

# უკურნებელი მკურნალი

### ფელეტონი

დასწყევლოს ღმერთმა მისი გამჩენი და სახსენებელი, ყოვლად მავნე და საზიზღარი მწერია. რასაც შეუჩნდება, მორჩა, არ გაახარებს. ხეს შეუჯდება, გაახმობს, ნაყოფს ხომ მაგაზე დიდი მტერი არა ჰყავს. ყველგან შოულობს სახრავსა და საკბილოს, თვით საოკეანო გემებს არ ინდობს — ხვრეტს, აფუჭებს.

ბევრნაირია ეს ავადსახსენებელი მწერი. მაგრამ არის ერთგვარი, ეგრეთწოდებული პატივმოყვარეობის ჭია, რომელიც მხოლოდ ადამიანებს უჩნდება.

კიბოსი არ იყოს, ეს ავადმყოფობა მეტწილად მოწიფულობაში გამოაჩნდება ხოლმე კაცს. მტრისას, ვისაც შეუჯდება თავში პატივმოყვარეობის ჭია.

სიდიდით დიდი არ იზრდება, ფერით... მაგრამ დავანებოთ თავი მის ზოგად ანატომიურ დახასიათებას, სჯობს კონკრეტული მაგალითით განვიხილოთ მისი გავლენა ადამიანის ხასიათზე, გრძნობებზე, აზროვნებასა და ქცევა-მოქმედებაზე.

ძნელი დასადგენია, როდის და როგორ ჩაისახა სერგო დარისპანის-ძე ბრეგვაძის თავში პატივმოყვარეობის ჭია (ალბათ ამ ავადმყოფობასაც აქვს საინკუბაციო პერიოდი), ხოლო როცა სერგოს ამ სენის მკვეთრი ნიშნები გამოაჩნდა, უკვე ექიმი გახლდათ, დარბაისელი და მოწიფული კაცი.

გამოაჩნდაო, ვამბობთ, თორემ გარეგნულად არაფერი ეტყობოდა ბრეგვაძეს. ან კი რას შეატყობდით! გაიღვიძა ერთ მშვენიერ დღეს კაცმა და ერთბაშად იგრძნო, სადღაც ტვინის სიღრმეში რაღაც უკაკუნებდა, მოსვენებას არ აძლევდა. კოდალაც მთელი დღე ზის ფუღუროზე და უკაკუნებს, მაგრამ რა დოლივით ღრმა და ხმიერი ფუღუროც უნდა იყოს, რა მარჯვეც უნდა იყოს კოდალა, მისი კაკუნი აზრებად და წინადადებებად ვერასოდეს ვერ ჩამოყალიბდება. ბრეგვაძის ტვინში მოკალათებული პატივმოყვარეობის ჭია კი მორზეს ანბანივით ზუსტად და გარკვევით მარცვლავდა წინადადებებს...

უცნაური კია: ზის თავში უხილავი ჭია და გიკაკუნებს: „ვითომ შენც კაცი ხარ რა, სერგია ბრეგვაძე! ჰომეროსსაც თავი ება და შენც თავი გაბია, ალექსანდრე მაკედონელიც ვაჟკაცი იყო და შენც ვაჟკაცი ხარ“... და ასე დაუსრულებლივ უკაკუნებს უცნაური ჭია, ჩამოთვლის ძველი და ახალი დროის ბრძენთა და ფილოსოფოსთა, გამოჩენილ მეფეთა და სარდალთა სახელებს.

ეგ კიდევ არაფერი. ამაზე სერგოს შეუძლია რამდენადმე მაინც დამაჯერებელი პასუხი იპოვნოს და დაამშვიდოს პატივმოყვარეობის ჭია. მაგალითად, ლევ ტოლსტოისთან დაკავშირებით მას შეუძლია უპასუხოს: ტოლსტოისავით გრაფად რომ დავბადებულიყავი, მამაპაპეულ მამულში დავსახლებულიყავი ნებივრად და 82 წელი მეცოცხლა „ომსა და მშვიდობას“ მეც დავწერდიო.

„კეთილი და პატიოსანი, — არ ასვენებს ბრეგვაძეს პატივმოყვარეობის ჭია, — მაგრამ შენს თანამედროვეებზე რას იტყვი, იმათზე, ვინც შენს გვერდით ცხოვრობს და მოღვაწეობს. რატომ უნდა გჯობდეს, მაგალითად, ვიღაც ქვარიანი. ისიც ექიმია და შენც, მაგრამ იგი ჭიათურის საავადმყოფოს მთავარი ქირურგია, შენ კი უბრალოდ ქირურგი და მეტი არაფერი... ან რატომ უნდა გჯობდეს ვინმე სხირტლაძე. ისიც კაცია და შენც, მაგრამ ის პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანია, შენ კი მდივანი კი არა, პარტიაში რიგით წევრადაც არ გაგაჩერეს, გაგრიცხეს...

გინდა ჭია დაარქვი და გინდა წინასწარმეტყველი, ლოგიკურად კი მსჯელობს და... მოდი და უპასუხე, გაამტყუნე, თუ ვაჟკაცი ხარ. ჰო და, საწინააღმდეგო თუ არაფერი გეთქმის, კიდევაც უნდა დაუგდო ყური, დაუჯერო მის ხმას. სერგო ბრეგვაძეც არათუ უსმენს და უჯერის პატივმოყვარეობის ჭიას, მისი მონა-მორჩილი გახდა. სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, არავინ აჯობოს, არავინ გადაასწროს წინ. მაგრამ ეს ქვეყანა ზღვასავით არის, რანაირად გინდა ყველას გადაუდგე წინ, ყველას დაეტოლო და დაეზომო!

სერგომაც პატივმოყვარეობის ჭიის ზეგავლენით და შთაგონებით ჯერ ლ. ქვარიანი, ჭიათურის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი ამოიღო მიზანში. მაგრამ როცა კარგად გაზომა და აწონ-დაწონა საქმე და მიზანი, ცოტა არ იყოს შედრკა და შეფიქრდა: „ერიჰაა, ასე ადვილად დაეწევი ქვარიანს?! როგორც ექიმს, ავტორიტეტი მეტი აქვს, ხალხის პატივისცემა და სიყვარული კიდევ უკეთესი, — სულ ენაგამოგდებულმა რომ ვსდიო, მაინც ვერ დაეწევი“.

არა, მაგასთან პირდაპირ ჭიდაობა არ არგებს, რაღაც სხვა ხერხი უნდა იხმაროს ქვარიანის თავიდან მოსაშორებლად. და ერთ უძილო ღამეს ეს ხერხიც საბოლოოდ დაამუშავა და დააზუსტა: „დოკუმენტები“ უნდა დააგროვოს ქვარიანის წინააღმდეგ, მაგრამ ეს „დოკუმენტები“ ციდან კი არ ჩამოცვივდება, — თვით მან, ბრეგვაძემ უნდა შექმნას.

ერთ უძილო ღამეს მეორე მოჰყვა, მეორე მესამე... წერა და წერა, წერა და წერა ბრეგვაძემ ანონიმური წერილები ქვარიანის წინააღმდეგ ქალაქკომსა და აღმასკომში, პროკურატურასა და მილიციაში. ხოლო თვით ქვარიანის სახლში ფოსტალიონი წერილების ზიდვას ვერ აუდიოდა.

ძნელია აქ მოკლედ მაინც გადმოგცეთ ამ წერილების შინაარსი. ვიტყვით მხოლოდ, რომ მსოფლიოში არც ერთ მწერალს თავისი უარყოფითი გმირების დასახასიათებლად იმდენი ეპითეტი და შედარება არ უხმარია, რამდენიც ბრეგვაძემ შეთხზა და მოიგონა. და არა მარტო მწერლობაში, წარმოიდგინეთ, მხატვრობაშიც აღმოაჩნდა სერგო ბრეგვაძეს გარკვეული ნიჭი ამ სიბერის ჟამს. ისეთ ლაზათიან კუბოებს ხატავდა და გზავნიდა ქვარიანის სახელზე, რომ ქვარიანის მეუღლესა და ბავშვებს თმები ყალყზე უდგებოდათ.

პატივმოყვარეობის ჭიის კაკუნმა და ბრეგვაძის მეცადინეობამ თავისი ქნეს: ქვარიანმა ვერ აიტანა ამდენი ცილისწამება — შეურაცხყოფა და ჭიათურიდან რუსთავს გადასახლდა ოჯახით.

განთავისუფლდა მთავარი ქირურგის ადგილი ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოში. დამრჩა ბურთი და მოედანიო, ეგონა სერგო ბრეგვაძეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, — იგი არ ცნეს ღირსად ამ თანამდებობისათვის.

კვლავ აღშფოთდა და აკაკუნდა პატივმოყვარეობის ჭია ბრეგვაძის თავში, სერგომაც მის დასაშოშმინებლად კვლავ ანონიმური წერილებით მიიტანა იერიში ამ უმადურ ქვეყანაზე. ამჯერად საქალაქო კომიტეტის მდივანს უ. სხირტლაძეს გაჰკრა თავისი კალმის შხამი, არც სხვები დაინდო, ყველას მიუზღო თავისი, ვინც ელობებოდა მის წინსვლას.

მერე რა გამოვიდა აქედან! ხილეს და პასუხისგებაში მისცეს ბრეგვაძე ანონიმური წერილების წერისათვის, დამნაშავედ ცნეს და შესაფერი სასჯელიც შეუფარდეს. პატივმოყვარეობის ჭია კი მაინც ვერ დაამშვიდა და ვერა სერგომ. ზის ეს მწერი ბრეგვაძის ტვინში და მორზეს ანბანივით კენკავს და უკაკუნებს: „რათ გჯობნიან, რათ გჯობნიან, რათ გჯობნიან“...

სერგო ბრეგვაძესაც არ შეუძლია ყური არ უგდოს ამ კაკუნს და ხელი კვლავ კალმისაკენ მიუწევს ანონიმური წერილების სათხზავად.

ბრეგვაძეს სერიოზული მკურნალობა სჭირდება. ჩანს ამაში მედიცინა უძლურია. იქნებ საზოგადოებრივმა აზრმა განკურნოს იგი ამ მძიმე და უცნაური სენისაგან.

**მ. მიქაძე.**

---

# ჩემი რესპუბლიკის დღე

40

## უპატაკებენ სამშობლოს

**მახარაძე.** (საკ. კორ.). გურიანთის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ვ. ტაკიძე, მთავარი ტექნოლოგი ს. გორდელაძე) გაიმარჯვა საქართველოს სსრ ჩაის ფაბრიკებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ფაბრიკამ მიმდინარე წლის სეზონში გამოუშვა 39.666 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35.100 ათასი მანეთისა. მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. „საქართველოს თაიგულის“ გამოშვების დავალება 106,6 პროცენტით გაანაღდა, ექსტრასი — 147,5 პროცენტით, უმაღლესი ხარისხისა — 132 პროცენტით. წარმოებამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად სამშობლოს მისცა 1.887 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

## ცემენტის ახალი წისქვილი

— **მოგვაშველეთ** კლინკერი! — გაიძახოდნენ ხოლმე ცემენტის წისქვილის მემანქანეები. მაგრამ იმის შემდეგ, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა მეოთხე მბრუნავი ღუმელი, კლინკერი, როგორც იტყვიან, ყელამდე არის. საჭირო შეიქნა ახალი, რიგით მეექვსე წისქვილის აგება. ეს საქმე ქარხნის კოლექტივმა ითავა. წისქვილის აშენება დაევალა ქარხნის სამშენებლო-სარემონტო განყოფილებას. იმ ბრიგადების დურგლები, მეარმატურეები და მებეტონეები, რომლებსაც ვ. ბარნოვი, მ. რუდომიოტკინი, მ. მეძღლიშვილი, ვ. ზარიძე ხელმძღვანელობენ, მშენებლობაზე ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

თავი ისახელეს მემონტაჟეებმაც. სარემონტო-სამონტაჟო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. ჯუმაევი), რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა ქარხნის მექანიკური საამქრო (უფროსი გ. ჩაფიძე), უზრუნველყო წისქვილის დროზე ამუშავება.

კასპელ მეცემენტეთა მიერ ნაკისრი ვალდებულება — მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით 30 ათასი ტონა ცემენტის გამოშვების შესახებ პირნათლად იქნება განაღდებული.

**პ. ხუნწარია,**
საამქროს უფროსი,
**ბ. ბიბილაშვილი,**
ინჟინერ-ქიმიკოსი,
**ბ. ორბელაშვილი,**
მბრუნავი ღუმელის მემანქანე.

## კარგია! ვწერენ მკითხველები

**კავშირგაბმულობის** საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა კავშირგაბმულობის ბორჯომის, მეორეზე წყალტუბოს, ხოლო მესამეზე თერჯოლის რაიკანტორები. (ვ. კუტალაძე.).

**ანაკლიის** (ზუგდიდის რაიონი) მერძევეობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობაში სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებულია 80-ზე მეტი ახალგაზრდა. ანაკლიელმა ფეხბურთელებმა საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური თასის გათამაშებაში საპატიო პრიზი მოიპოვეს. (ბ. ალშიბაია).

**თბილისის** რკინიგზის ტექნიკურ სკოლაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მრავალი მეკავშირე, მელიანდაგე და სადგურის მორიგე იმაღლებს ტექნიკური ცოდნის დონეს. ამ დღეებში აქ პრაქტიკა გაიარეს ერევნიდან ჩამოსულმა რკინიგზელებმა. (ვ. მაისურაძე).

**ახალციხეში** დამთავრდა ლამაზი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საშუალო სკოლის შენობა. (ა. ბუტულაშვილი).

---

## ახალი ნაპოვნი

**საქართველოს სსრ** მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის არქეოლოგთა და ისტორიკოსთა გაერთიანებული ექსპედიცია წარმატებით აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს მდინარე ჩოლოქის აუზში.

ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ინაშვილმა განაცხადა:

— ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურ-ცეცხლაურის უბანზე გათხრების დროს ექსპედიციამ აღმოაჩინა ხუთი რკინასადნობი ღუმელი. დადგენილია, რომ ეს ღუმელები გაკეთებულია დაახლოებით VIII-VI საუკუნეებში ახალ ერამდე. ნაპოვნმა დაადასტურა ლიტერატურაში არსებული ცნობები იმის შესახებ, რომ ხალიბი არის ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომი, რომელიც იმ დროს მდინარე ჩოლოქის აუზში ცხოვრობდა. დასავლეთ საქართველოს ტომების მიერ რკინის წარმოების განვითარება ამ რაიონში მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ნედლეულის ბაზის არსებობით.

შავი ზღვის სანაპიროს დიუნების კულტურული შრეების გაწმენდის შემდეგ, რომლებიც ჩაქვიდან გაგრამდე გრძელდება, ფიჭვნარის რაიონში — ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთ გარეუბანში ექსპედიციამ იპოვნა აგრეთვე კერამიკისაგან გაკეთებული სამსხვერპლო.

ხელოვნური ბორცვების გათხრისას, აგრეთვე ნიადაგის მოხვნის დროს ნაპოვნი კერამიკული ღუმელები, დიდი ქვევრები, მარცვალსახეხები და ბევრი სხვა საგანი ადასტურებენ, რომ ტერიტორია, რომელიც აღმოსავლეთით ეკვრის ფიჭვნარსა და ქობულეთს, ქობულეთ-ფიჭვნარის გარეუბანი იყო და მისი მცხოვრებნი მისდევდნენ მევენახეობას, მეღვინეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. (საქდესი).

---

# ქართული ბროლი

**ყველაფერი** ამ ერთი
ლის მანძილზე მოხდა...
ცდები რომ წარმატებით
დაგვირგვინდა, საქართ-
ველოს სახალხო მეურ-
ნეობის საბჭომ გადაწყ-
ვიტა 1960 წელს ქუთაი-
ის მინის ტარის ქარხა-
ნაში მოეწყო ბროლის
ურჭლის საამქრო.

ერთდროულად მიმდი-
ნარეობდა ახალი საამქ-
როს მშენებლობა, მან-
ქანა-დანადგარების მონ-
ტაჟი და საჭირო კვა-
ლიფიციური კადრების
მომზადება. ბროლის წა-
რმოების ტექნოლოგიის
შესასწავლად ჯერ კიდევ
ებერვალში, ვლადიმირის
ოლქის ქალაქ გუსხრუს-
ტალნში მივლინებულ იქნა ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ოცი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. რუსმა სპეციალისტებმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ქართველ მეგობრებს და მომავალ თანამოსაქმეებს, მოკლე ხანში შეასწავლეს როგორც ბროლის ჭურჭლის, ისე სხვადასხვა ფორმის თეთრი ფიგურული შუშის ნაწარმის დამზადება.

ორი თვის წინათ ქუთაისში ამუშავდა ბროლის საამქრო, რომელიც მთლიანად სამამულო წარმოების მანქანა-დანადგარებით არის აღჭურვილი. საამქროში დაიდგა ბროლის მინის სახარშავი დიდი ღუმელი, საწრთობი ღუმელები, აგრეთვე სახეხი, ბროლის მხატვრულად დასამუშავებელი, მოსაპირკეთებელი და გამკრიალებელი დანადგარები. ახალმა საამქრომ უკვე გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია.

სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ მოიწონა და რეკომენდაცია მისცა სერიული წარმოებისათვის ქუთაისში დამზადებულ ქართული ორნამენტით დამშვენებულ ბროლის სურას თავისივე ჭიქებითა და ლანგრით. ამ უკანასკნელად აქ აითვისეს და დაამზადეს აგრეთვე სხვადასხვა ფორმის ხილის ვაზების, სურებისა და კათხების საცდელი ნიმუშები.

ახლა ქარხანას ჰყავს ბროლის წარმოების ნიჭიერი, უნარიანი მუშები და სპეციალისტები, რომლებიც ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას. მათ შორის ქებით იხსენიებენ საამქროს უფროსს, ინჟინერ ნინო შათირიშვილს, მინის მხარშავს ბ. უგრეხელიძეს, გამბერავებს ი. ზანთარიას და ი. სოფრომაძეს, ალმასით მჭრელებს ო. ჩადუნელს, თ. კაკაურიძეს და გ. ჯოჯუას, მხატვარ-მხეხავ დ. ლომთაძეს.

პრაქტიკულად განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში ბროლის წარმოების ამოცანა... ქართული ბროლი ძვირფასი საიუბილეო საჩუქარია საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის.

**შ. ჯაპახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

**სურათზე:** ბროლის საამქროს მხატვარი-მხეხავი დ. ლომთაძე.
ფოტო ე. ციციაშვილისა.

---

# შენთვის, მომხმარებელო!

**ჩვენი** რესპუბლიკის მოსახლეობის
ლტურულ-საყოფაცხოვრებო მომსა-
რების გაუმჯობესების მიზნით საქარ-
ველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბ-
ომ გადაწყვიტა 1961 წელს აითვისოს
მიაწოდოს მომხმარებელს ახალი ფა-
თო მოხმარების საგნები, მათ შორის
მოცი ათასზე მეტი ელექტროუთო, აგრეთვე სამზარეულო დანები, კარადები თეთრეულისათვის, წიგნის კარადები, გაზის ქურები, რადიომიმღებისა და ტელევიზორის დასადგმელი მაგიდები, ელექტროვენტილატორები და სხვ.

მომავალ წელს სულ გამოშვებულ იქნება რამდენიმე მილიონი მანეთის ახალი ფართო მოხმარების საგნები.

---

# აქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან

გაზეთ „კომუნისტის“ 1960 წლის 10 დეკემბრის № 285 (11896) გამოქვეყნე-
ლ განცხადებაში — „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან“ (აკა-
ემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატები) მე-24 პუნქტი უნდა იკითხებოდეს:
„ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ
ცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიე-
ებათა აკადემიის აკადემიკოსი“.

---

# ნახავთ, მოისმენთ...

**თბილისის** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 11, 14 და 16 დეკემბერს გაიმართება ბულგარელი მომღერლის, სოფიისა და პლოვდივის ოპერის თეატრის პრემიერის **სონია ხამერნიკის** (მეცო-სოპრანო) გასტროლები.

მსახიობი ოპერა „აიდაში“ შეასრულებს ამნერისის, „კარმენში“ კარმენის და „ტრუბადურში“ აზუჩენას პარტიებს.

ხამერნიკი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატია. პრესას მრავალჯერ აღუნიშნავს სონია ხამერნიკის ხმის სინარნარე და სილამაზე, მაღალი მუსიკალური კულტურა, სცენური ტემპერამენტი, დრამატული ნიჭი და მხატვრული გამოვნება.

დეკემბრის მეორე ნახევარში გაიმართება ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის, რსფსრ დამსახურებული არტისტის **ვერა დიკოპოლსკაიას** გასტროლები. მსახიობს ლირიკულ-დრამატული სოპრანო აქვს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია ტოსკას პარტიისა ამავე სახელწოდების ოპერაში, ჩიო-ჩიოსანის პარტიისა ამავე სახელწოდების ოპერაში, აიდას პარტიისა „აიდაში“ და სხვ.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ თბილისში საგასტროლოდ ჩამოდის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ვოკალისტთა მსოფლიო კონკურსის ლაურეატი, ბუქარესტის სახელმწიფო საოპერო თეატრის პრემიერი **ლიუდისლავ კონია**, ბარიტონი.

გასტროლები დაიწყება 23 დეკემბერს. მსახიობი შეასრულებს დე-ლუნის პარტიას ოპერა „ტრუბადურში“, ჟერმონის პარტიას „ტრავიატაში“, ტონიოს პროლოგს და სილვიოს პარტიას ოპერა „ჯამბაზებში“ და სხვ.

---

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ენგურის ნაპირებზე...

ასე ერქმევა ახალ ქართულ მხატვრულ კინოსურათს, რომელსაც მალე ნახავს მაყურებელი.

აი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე — სვანეთი თავისი ცადაწვდილი მთებით, დაბურული ტყეებითა და აქაფებული მდინარეებით, თავისი შესანიშნავი ადამიანებით, რომლებიც ახალ ცხოვრებას ამკვიდრებენ.

ამ ახალ ადამიანებზე მოგვითხრობს კინოსურათიც (სცენარი ალ. ვიტენზონისა, რეჟისორი დ. რონდელი).

ისინი ტყისმჭრელები არიან... ამაყი და ვაჟკაცი ადამიანები, რომლებსაც მთებიც კი ემორჩილებიან. სამშობლოს უანგარო სიყვარული უნთიათ იმ ადამიანებს გულში, სამშობლოსათვის იღწვიან და ზრუნავენ, თუმცა ყველას თავისი ცხოვრება, თავისი სიყვარული და სიხარული აქვს.

ემზარი და გუვალი სიყრმის მეგობრები არიან, უშბის, თეთნულდის ძირას დაბადებულნი და გაზრდილნი. ორივეს ერთი სიყვარული სწვავს, მშვენიერი მანოლის სიყვარული, რომელიც თვით ენგურზეც უფრო ძალუმი და თვით თეთნულდზეც უფრო მაღალია. მაგრამ მანოლის ემზარი უყვარს და რა ქნას! დადგა ქორწილის დღეც... გუვალი მამაპაპურ ძველ მურყვამ-კოშკზე ასულა და იქიდან უმზერს ქორწილს. ერთი ხანობა მოკვლაც კი დაუპირა სიყრმის მეგობარს. მაგრამ არა, ასე როგორ უნდა დაეცეს ადამიანი! გუვალი „ველად გაიჭრება“ და ნადირობას აყოლებს გულს... შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს კი სიბოროტემ თუ ბოღმამ სძლია გუვალს. იგი ზნეობრივად დაეცა, მეგობარზე აღმართა ხელი. ემზარი ტყეში მუშაობდა, ერთ უძირო ხევის პირას. გუვალმა იმ ხევში გადაჩეხა ემზარი.

მაგრამ არა, ბოროტი ნაბიჯის კვალი არ დაიფარება! გუვალი ამხილეს. ამხილა მეტყევე ინჟინერმა თამარმა, რომელსაც არანაკლებ უყვარდა გუვალი, ვიდრე მანოლის — ემზარი.

აქ იწყება გუვალის ერთგვარი შინაგანი ქენჯნა. გუვალი ხევში გადაჩეხილ მეგობარს დაეძებს, თანაც მეგობართან ერთად იმ ხევში გადაჩეხილ თავის სინდისს ეძებს... ენგური კი კვლავ ზავთით მიჰქუხს და მთისოდენა ლოდებს მიაგორებს.

ამ ახალ კინოსურათს იღებს ოპერატორი არჩ. ფილიპაშვილი, მხატვრები არიან ე. მაჭავარიანი, ჯ. ცინდელიანი და კ. კვალიაშვილი. ფილმისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა არჩ. კერესელიძემ.

კინოსურათში ძირითადად ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ: ს. ჭიაურელი (თამარი), ა. შენგელაია (მანოლი), თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. შარია (გუვალი), მ. გორგილაძე (ემზარი). გუვალის დედას ანსახიერებს საქართველოს დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე, ბექნუს — საქართველოს დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე, ბათალბეს — გაგრის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ზ. გვაჯავა, კოსტას — საქართველოს დამსახურებული არტისტი ვ. ნინუა.

ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ბზიფის ხეობაში.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



**სურათებზე:** მარცხნიდან (ფილმის მონაწილენი): ს. ჭიაურელი (თამარი), ნ. შარია (გუვალი), ა. შენგელაია (მანოლი); მარჯვნივ — კადრები ფილმიდან „ენგურის ნაპირებზე“.

ფოტო ვ. პალოტიდისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საწყალი გულის გამო

## იუმორისტული მოთხრობა

**ამხანაგო** ფაცურია!.. ეჰეი, მაინძელო!.. — გასძახა საზეიმოდ განწყობილმა იასონმა და პასუხის მოლოდინში სმენად გადაქცეული ელექტრო-შუქით აბრდღვიალებული ოდა-სახლის ფანჯრებს მიაჩერდა.

— რომელი ხარ? — მოისმა აივნიდან ახალგაზრდა ქალის ხმა.

— იასონი ვარ, კლუბის გამგე...

— იასონი?! რა იყო, იასონ, ამოდი, შე კაცო, სახლში.

იასონმა მკვირცხლად შეაღო რკინის ალაყაფის კარი, აირბინა კიბე, შევიდა სახლში და ხავერდის ბალიშებით მორთულ ტახტზე სახოებით ჩამოჯდა. კმაყოფილებით შეავლო თვალი ძვირფასი ავეჯითა და ხალიჩებით მორთულ ოთახს. პაპიროსს მოუკიდა. მერე ერთბაშად მუხლის თავებს შემოჰკრა ხელის გულები და გაფხორილმა იკითხა:

— თუ იცი, ფაცურია ჩემო, რატომ ვარ ახლა აქ მოსული?

— ლექცია თუ არის კლუბში?

— ა!.. მაგი არა...

— თავმჯდომარე მეძახის?

— არა!

— რაიკომში მიბარებენ?

— არა, ფაცურია, არა, არა!

— ჩემი სიკვდილი, დედაშენმა თუ გამოგგზავნა? ამ დილას დავპირდი, ხახუნს გასესხებ-მეთქი, საწყობის გამგის გაფრთხილება კი დამავიწყდა.

— არა, არა... დედაჩემი დღეს დილიდან სულ არ მინახავს.

— დედაა, აბა მოხდა რამე? — შეწუხდა ქალი.

— ჯერ არ მომხდარა, მაგრამ რომ მოხდებოდეს, ორივე მხარისათვის სასურველი იქნებოდა, დიახ!..

— გამაგებინე, იასონ, რაშია საქმე?.. რაზე მოხვედი?

იასონი წამოდგა. ბროლის საფერფლეში დაგდება დაუპირა პაპიროსს, მაგრამ, ეტყობა, დაენანა ძვირფასი ნივთის დანაგვიანება და ფანჯარაში ისროლა ანთებული პაპიროსი. მხრებში გასწორდა, აბრეშუმის ხალათში გახვეული ზორბა მკერდი წინ წამოსწია და რიხიანად თქვა:

— კაი საქმეზე ვარ, ფაცურია, მოსული, ნამდვილად კაი საქმეზე!

— მაინც, მაინც... — გაეღიმა ფაცურიას.

— გინდა გაიგო, ხომ კი?

— ძალიან.

— კეთილი და პატიოსანი! რაკი ასეა, აბა პირდაპირ მთავარ საკითხზე გადავდივარ... — იასონმა დოქიდან წყალი მოსვა, ჩაახველა, გაწკეპილ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ხმამაღლა დაიწყო: — ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ამხანაგო ფაცურია ქიშვარდის ასულო...

— კაი ახლა, იასონ, რაფერ მელაპარაკები? უცხონი ხომ არა ვართ, რა გემართება?

— იცი, რას გეტყვი, ჩემო ფაცურია?.. მე შეიძლება თბილისში ინსტიტუტი არ დამიმთავრებია, მაგრამ იმდენი გაზეთი კი მაქვს წაკითხული, ის მესწავლა, პატივსაცემ ამხანაგებს როგორ უნდა მიმართოს კაცმა ფრიად სერიოზული საკითხის განხილვის შემთხვევაში. ძალიან გთხოვ ხელს ნუ შემიშლი, ჩემი მათქმევინე და კამათში გამოსვლის უფლებას რომ მოგცემ, გამოდი, ბატონო, და შენი თქვი.

— კარგი, იასონ, აბა თქვი და გისმენ!

— დიახ, ყველასგნით ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ამხანაგო ფაცურია ქიშვარდის ასულო!.. ჩვენო სოციალისტური შრომის გმირო, კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავო, რაიონში სახელგანთქმულო ბრიგადირო და უმაღლესი საბჭოს დეპუტატო... ქალი ვარო, შენ გეთქმის, რისთვისაც ვაშა შენ! სწორედ რომ დიდი ამბავია ასეთი სახელის დამსახურება და, მე ვიტყოდი, ამასთანავე კარგი ამბავიც არის. რა გაცინებს? რავა, არ ვამბობ მართალს?.. აბა, მიიხედ-მოიხედე ავეჯით გაჭედილ ამ შენ ბინაში, და ტყუილი თუ არის, გამაჩუმე.. შენ, პატივცემულო ამხანაგო ფაცურია ქიშვარდის ასულო, შენი შრომით ისეთი დოვლათი შექმენი, რომ მთელ რესპუბლიკაში გაითქვი სახელი და პირადად შენი მატერიალური მხარე უმაღლეს დონემდე აიყვანე. რავა, არ ვამბობ მართალს?.. აბა, ვის აქვს ამ სოფელში ყველაზე ლამაზი სახლი? შენ!.. ვინ შეიძინა ამ სოფელში „ვოლგა"? შენ! ვის აქვს ყველაზე უკეთ მოვლილი და წალკოტად გადაქცეული კარმიდამო? ისევ შენ და ისევ შენ... სხვათა შორის ამ სიტყვებზე ძალიან ლამაზი სიმღერა არსებობს და შენ თუ მოგწონს, ფაცურია, მე ხვალვე მოგირბენინებ ფირფიტას კლუბიდან... დიახ!... მე ვიცი, რომ შენ, ამხანაგო ფაცურია ქიშვარდის ასულო, საკუთარი პატარა მეურნეობაც გაქვს... ქათამი, ბატი, ინდაური, კვატი... ლიმონი და მანდარინი, ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი. ერთი სიტყვით, უბედური შენი მშობლები უდროოდ არ დახოცილიყვნენ, იცოცხლე ისინი გაიხარებდნენ შენით, მაგრამ შენ ისა თქვი, რომ არც დაი გყავს და არც ძმაი გყავს, გვერდში რომ ამოგიდგეს ვინმე და შენთან ერთად გასწიოს ეს მძიმე ჭაპანი... მთავარი კი მაინც ის არის, რომ შენ, მარტოხელა ფაცურია ქიშვარდის ასულო, სიძნელეს არ შეუშინდი, ჭარასავით ტრიალებ შინ თუ გარეთ და ამოდენა საქმეს პირნათლად უსწორდები.

**იასონ**, იასონ... — სცადა სიტყვის ჩამორთმევა ფაცურიამ. მაგრამ ვინ აცალა.

— არ მითხრა, ფაცურია, ძნელი არ არისო... რათ გინდა ჩემთან მობოდიშება და თავის მართლება!.. ნამდვილად ვიცი, რომ მარტოობა ძნელია... და სწორედ ამიტომ შენზე ფიქრმა, შენდამი თანაგრძნობამ... ღამე ძილი გამიფრთხო... ასეთი საწყალი გულის კაცი ვარ

ყველაზე გული შემტკივა, აბა. მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვია ამა სოფლისა, სხვანაირად არც შეიძლება რომ მომხდარიყო, ფაცურია ქიშვარდის ასულო. ბევრი ფიქრის შემდეგ მე ვპოვე შენთვის შემამსუბუქებელი გამოსავალი... ბოლოს და ბოლოს გაჭირვებაში თუ არ მივეხმარეთ ერთმანეთს და გვერდში არ ამოვუდექით, აბა გაშლილ სუფრაზე, იცოცხლე, ყველა საიათნოვაა (ამ ბოლო დროს მაინც).

— მოიცა, იასონ, მოიცა, შე კაცო... მაცალე, ახლა მეც ვთქვა ორი სიტყვა...

— ვერც დავიცდი და ვერც გაცდი... კმარა, ფაცურია, მე აღარ ძალმიძს ვუცქირო ამოდენა დოვლათის და სიმდიდრის შენ მიერ ცალმხრივად ზიდვას. არის გამოსავალი, ფაცურია ჩემო, და რატომ უნდა დაიჩაგრო თავი, რატომ?

— მაინც... რას მირჩევ, იასონ?.. — გაეღიმა ფაცურიას.

— რაც არის, არის, ფაცურია, შეგეშველები, დავიდგამ ნებაყოფლობით ამ კისერზე უღელს და ეს არის!

— ეს მითხარი, იასონ, რა ჰქვია შენს საქციელს თუ იცი? — წარბი შეიკრა ფაცურიამ.

იასონს კმაყოფილებით გაებადრა სახე, თავი მოკრძალებით დახარა, ხელები გულზე დაიკრიფა და მიბნედილი ხმით წაიჩურჩულა:

— სიყვარულის ახსნა!

— კი, მაგრამ... იასონ...

**ვიცი**, რაც გინდა მითხრა, ფაცურია! შენ გაფიქრებს ის ამბავი, რომ მე დაკავებული ვარ კლუბში და სათანადო მზრუნველობას ვერ გავუწევ შენს (თუმცა ახლა უკვე ჩვენს) მეურნეობას.. ფაცურია!.. მე მზად ვარ მსხვერპლად შევწირო ჩემი თანამდებობა შენს (თუმცა ახლა უკვე ჩვენს) დოვლათსა და სიმდიდრეს. დღესვე დავწერ განცხადებას და გავითავისუფლებ თავს კლუბისაგან. დავეკერები ლურსმანივით სახლის დარაჯად აგერ ტახტზე, ამ ხავერდის ბალიშებში. შენ კი.. სრულიად დამშვიდებულმა შეგიძლია განაგრძო მუშაობა შენს საყვარელ პლანტაციაში. კრიფე არხეინად ჩაი!.. გააორკეცე, გაათკეცე შენი შრომის მაჩვენებლები, რომ შენს... რომ ჩვენს დოვლათს მისხალიც არ დააკლდეს. ჰა, რას იტყვი, რაფერი მოსაზრებაა?

— ჰოო... გეტყობა, მართლაც ბევრი გიფიქრია ჩემზე. მაგრამ მე უღლის გამწევად გულმაგარი კაცი მირჩევნია და ამიტომ... — ხმას აუწია ფაცურიამ და აივნისკენ გასასვლელი კარი გააღო.

— რავა, მისტუმრებ, ამხანაგო ფაცურია?! — ხმა გაებზარა იასონს. — ჩემი საწყალი გულის გამო მიწუნებ?!

— ასე გამოდის...

— კარგი, ბატონო, მე წავალ, მაგრამ თქვენი ბიოგრაფიის პატრონს მაგი არ გეპატიება. სიკეთეს, ამხანაგო ფაცურია ქიშვარდის ასულო, დაფასება უნდა, აბა!..

**ნანა კანდელაკი.**



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

# ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

## გუშინ რიგაში

◆

**რიგა.** 10 დეკემბერი. (სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დღეს გაიმართა მორიგი მე-16 ტური.

ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის ვ. ტიხომიროვასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია. აქ გათამაშდა ძველინდური დაცვა. ბრძოლა თავიდანვე თანაბარი იყო, მაგრამ შუა თამაშიდან ქართველმა ოსტატმა ერთგვარ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. ნ. გაფრინდაშვილმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის მცირეოდენი შეცდომა და 27-ე სვლაზე ფიგურა მოიგო. პარტია არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში ნ. გაფრინდაშვილს ზედმეტი ფიგურა და მოგების რეალური შანსები აქვს.

ძლიერად ჩაატარა პარტია ფ. დმიტრიევამ ჩემპიონატის ლიდერთან ტ. ზატულოვსკაიასთან. მოწინააღმდეგენი ცაიტნოტში მოექცნენ. აქ ტ. ზატულოვსკაიამ საკონტროლო დროს გადააცილა და დამარცხება განიცადა. ვ. კოზლოვსკაიამ დაამარცხა ო. რუბცოვა.

ა. კუშნირ-მ. ტოგონიძის, ს. როოტარე-ვ. კაუშილაიტესა და ა. ჩაიკოვსკაია-კ. ზვორიკინას პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ ო. იგნატიევასა და ა. ჩაიკოვსკაიას გამოტოვებულ პარტიაში გაიმარჯვა ა. ჩაიკოვსკაიამ, ვ. კაუშილაიტემ მოუგო ო. იგნატიევას.

16 ტურის შემდეგ **ტ. ზატულოვსკაიას** აქვს 11 ქულა, **ნ. გაფრინდაშვილსა და ლ. ვოლპერტს** ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია, **ვ. ბორისენკოს** — 9 ქულა და 2 გადადებული პარტია.

# ინდოეთის ვეფხვები თბილისში

**თბილისის** ზოოლოგიური პარკი მშრომელთა საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. აქ დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს დედამიწის თითქმის ყველა კუთხის ცხოველები, ცხოველთა ვოლიერების გარშემო გაშენებულია იშვიათი მცენარეების პარკი, რომელიც დამშვენებულია ხეივნებით, ყვავილებითა და შადრევნებით.

ამ რამდენიმე დღის წინათ ზოოპარკის ცხოველთა სამყაროს კიდევ ახალი წარმომადგენლები შეემატნენ. ამას წინათ ინდოეთიდან საბჭოთა კავშირს საჩუქრად გამოუგზავნეს ხუთი ვეფხვი, მათგან სამი ამჟამად თბილისის ზოოპარკშია. მათ ბენგალიის ვეფხვებს უწოდებენ. უფროსი ვეფხვი „ვანარაი" ხუთი წლისაა, მეორე — ძუ ვეფხვი „ვანარენი" სამისა, ხოლო პატარა — „დიამანტი" ერთი წლისა არის. ბენგალიის ვეფხვებს შედარებით სხვა ვეფხვებთან სითბო უყვართ, გარეგნულად მეტად ლამაზი არიან. ვეფხვები ახლად აგებულ ბინებში არიან მოთავსებულნი და თავს კარგად გრძნობენ.

მაგრამ ზოოპარკის ცხოველთა რიცხვი მარტო შემოყვანით როდი იზრდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისეთი იშვიათი ცხოველის გამრავლება, როგორიც ბეჰემოტია, მხოლოდ თბილისის ზოოპარკში მოხდა. უკანასკნელ სამ წელიწადში ჩვენ ორჯერ მივიღეთ ნამატი, რომელიც მოსკოვის ზოოცენტრს გადაეცა. ახევე კარგად მრავლდება აქ ანტილოპა გნუ, კენგურუ, ირემი და სხვ.

უახლოეს დღეებში თბილისის ზოოპარკს შეემატება კიდევ სხვა ცხოველები: ჯიქი, იაკი, შავი პანტერა, ჰამადრილი, ვივერები და სხვ, რომლებიც მოთავსებულ იქნებიან ახლად აგებულ ბინებში, მაშინ კი უფრო მრავალფეროვანი, მიმზიდველი გახდება ჩვენი ზოოლოგიური პარკი და მშრომელთა დასვენების საუკეთესო კერად გადაიქცევა.

**აკ. არობელიძე,**

ზოოპარკის დირექტორის მოადგილე.

• • •

**სურათზე:** ბენგალიის ვეფხვი „ვანარენი".

ფოტო ო. ხავთასისა.

# ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება...

— **არც** ეს სახლი მოგწონს? — ღიმილით ჰკითხა ავტომანქანის მძღოლს ნუნუ გურეშიძემ და კეთილმოწყობილ ხუთსართულიან ლამაზ შენობას გახედა.

— დიდებულია! — უპასუხა მძღოლმა. მალე ისინი ვეებერთელა საცხოვრებელი შენობის კიბეს მიადგნენ. ტაქსის მძღოლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი არჩევანში იყო რომელ სართულზე, რა ფართობის ბინა აელო... სად: ვაკეში, რუსთაველის პროსპექტზე თუ საბურთალოში! მისთვის ყველგან გზა იყო ხსნილი...

— იცი რა, — უთხრა ნუნუს მძღოლმა ვლადიმერ გლურჯიძემ, — მომიხერხე ბინა სათავსებით... სამაგიეროდ, რასაც მოისურვებ, ჩემი თავი გენაცვალოს...

მათ ელვის სისწრაფით ჩაუქროლეს თბილისის განიერ ქუჩებს, ავტომანქანა საბურთალოს ახალმშენებლობათა შორის გაიჭრა, გადასერა ორი შესახვევი და მოხუჭურთმებული შენობის წინ დადგა. ვლადიმერი მოზღვავებული სიხარულით ჭარხალივით იყო გაწითლებული. იღბალიც ამას ჰქვია, — ფიქრობდა გულში,— თბილისის საქალაქო საბჭოს შენობის წინ ეს კეთილშობილი გოგონა რომ არ დამხვედროდა, ხომ დავიღუპებოდი! აი, პაემანიც ასეთი უნდა.

— არც ეს შენობა მოგწონს? — ნუნუმ მელიას თვალებით შეხედა მოპირდაპირეს.

— დიდებულია! — კვლავ გაიმეორა მძღოლმა.

— შეხედე, რა არქიტექტურული ნაგებობაა?!

— ბრძანე, რამდენი მოგართვა? — მოთმინება არ ჰყოფნიდა მძღოლს.

გოგონამ წარბი შეიკრა: ამ საკითხს მარტო მე ვერ გადავჭრი, „ხაზეინის" ნებართვა მინდა, ხომ იცი, უიმისოდ ფეხს ვერ გადავდგამ. მით უმეტეს, როგორც გუშინ მითხრეს, ეს ბინა ქალაქის ხელმძღვანელების მიერ სხვისთვის არის განკუთვნილი.

— არ დამღუპო!—წამოიძახა მძღოლმა და შეშინებულმა ხვეწნა-მუდარას მოუმატა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ქალაქის საბჭოს აღმასკომის წინ იდგნენ. ვლადიმერმა მოხერხებულად გადასცა ნუნუს თხუთმეტი ათასი მანეთი.

— ეს ჩემს ხაზეინს ავანსად ეყოფა — ჩაილაპარაკა გოგონამ, — შენ აქ დამელოდე, და მარდად აირბინა აღმასკომის თლილი ქვის კიბეები...

მძღოლს ლოდინით სული შეეხუთა. მძიმედ გადიოდა წუთები, საათები... ვაი თუ „ხაზეინმა" იცოტავოს? არაფერია, ნუნუ შემარიგებს, დავუმატებ! ისე ბინა კარგია, თუმცა წინ ასფალტი აკლია, ჯერჯერობით ეზოში ნარგავებიც არ არის, მაგრამ რა უჭირს, მცხეთიდან სურნელოვანი ყვავილების ნერგებს ჩამოვიტან, ბორჯომიდან ნაძვებს... დავხატავ, დავამშვენებ კარ-მიდამოს.

ქალაქის საბჭოს მეორე შესასვლელთან ოხრავდნენ ეკატერინე შავშიშვილი და მისი ძმა არჩილ ქელდიშვილი: იმ დღეს მათაც ნუნუსთან ჰქონდათ დანიშნული პაემანი.

— ქალბატონო ეკატერინე! — წასჩურჩულა ვიღაცამ.

— უი, თქვენა? — გაუხარდა შავშიშვილს.

— ჩუმად, არავინ გაგვიგოს! აქ ყოველთვის ზღვა ხალხი მელოდება, ხუმრობა ხომ არ არის, ქალაქის საბინაო ფონდის გამნაწილებელი კომისიის მდივანი ვარ, წავიდეთ, მოვერიდოთ! — კვლავ ჩურჩულით იუბნებოდა ნუნუ...

იცდიდა ვლადიმერი ქალაქის საბჭოს წინ, იცდიდა და ფიქრობდა, სად ეშოვნა კიდევ თხუთმეტი ათასი... ნუნუს კი მისი ჯავრი სულ არა ჰქონდა, არხეინად ჩაჯდა ახალი კლიენტის არჩილ ქელდიშვილის მანქანაში, გვერდით მოისვა ეკატერინე შავშიშვილი და კვლავ ესტუმრა საბურთალოს.

— ბინები გსურთ? ინებეთ, რომელი გინდათ, სად, რა გემოვნების, რა ფერის... — კვლავ ჰიკჰიკებდა ნუნუ გურეშიძე.

ეკატერინეს ერთი ბინა მოეწონა და სიხარულით ჩაუთვალა ნუნუს ოცდათერთმეტი ათასი მანეთი.

— შაქრად შეგარგოს, შვილო, შენცა და შენს ხაზეინსაცა! — დაუმატა ეკატერინემ და უსურვა კარგი ბედი, კარგი ქმარი და შვილი.

ბოლო სიტყვა'ზე ნუნუს გაეღიმა: აბა რა იცოდნენ კეთილისმსურველებმა, თუ ოცდაოთხი წლის ნუნუ შალვას ასულ გურეშიძეს უკვე სამი ქმარი ჰყავდა გამოცვლილი! მან პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებაც მოასწრო. ერთხანს კიდევაც მასწავლებლობდა. ახლა არსად არ მუშაობს, მაგრამ ცხოვრობს ლაღად დედაქალაქში, ოსეთის ქუჩა № 12. ნუნუს მამა ხაშურის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეა. ამ დღეებში ქალიშვილმა მამას გამამხნევებელი წერილი მისწერა: „საყვარელო მამიკო! გკოცნი, გკოცნი... ჩემი ჯავრი ნუ გექნება! მე შესანიშნავად ვატარებ დღეებს... გიგზავნი მცირე ნობათს — ექვსი ათას მანეთს! მოიხმარე, როგორც გსურდეს. შენი სახელოვნად აღზრდილი ნუნუ გურეშიძე".

ზის თავის ბინაში ნუნუ გურეშიძე და არხეინად ითვლის ნადავლს... იცინის:

— გუშინ ვაკის სამკერვალო ატელიეს თანამშრომელს გურამ მირზაშვილს ვესტუმრე, სიხარულით ცას ეწია: აჰა, ორასი ათასი მანეთი წაიღე, მხოლოდ ისეთი ბინა მომეცი, რომ მტერსაც და მოყვარესაც თვალი დაუბრმავდესო! რა გულუბრყვილო ყოფილა, პირდაპირ შემეცოდა და მხოლოდ ოცდაექვსი ათასი მანეთი გამოვართვი, დოყლაპია! მე ვინა ვარ, რომ ბინა მივართვა. ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელებიდან არავის არ ვიცნობ. ვიცი მარტო იმ დიდი შენობის შესასვლელი და გასასვლელი და ვიცი, როგორ უნდა მოვიხმარო იოლად ნაშოვნი ფული...

ვინ იცის, რამდენი თბილისელი გააწარა ნუნუ გურეშიძემ. მაგრამ „ქოკა წყალს მუდამ ვერ მოიტანს". თაღლითს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, დანაშაულზე წაასწრეს და მალე წარსდგება საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

დოყლაპიები?! მათ თავიანთ თავს დააბრალონ, რაც მოუვიდათ.

**ვ. ხმალაძე,**
**კ. სხვაველი.**

# ზღვასთან მებრძოლნი

**ეს მოხდა** ნოემბრის ერთ სუსხიან დღეს. ქარი მძვინვარებდა შავ ზღვაზე მთასავით აგორებული ტალღები ღრიალით აწყდებოდნენ ნაპირებს. ბათუმის მახლობლად ტანკერი „ფრიდრიხ ენგელსი" გამოჩნდა. იგი ნავსადგურში შესვლას ცდილობდა, მაგრამ აბობოქრებული ზღვა გეზს უმრუდებდა და მწვანე კონცხის მეჩეჩიანი ნაპირისკენ ეწეოდა. ბოლოს, უზარმაზარმა ტალღამ ტანკერი მეჩეჩზე შეაგდო და გადახარა. გემს საფრთხე დაემუქრა. საჭირო იყო სასწრაფო დახმარება.

ტანკერის კაპიტანმა საგანგაშო სიგნალები გაგზავნა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებისაკენ. ფოთის ნავსადგურის მაშველი გემი „სუჯუკი" ამ დროს გონიოს ნაპირებთან იმყოფებოდა. განკარგულების მიღებისთანავე „სუჯუკმა" გეზი ტანკერისაკენ აიღო. თითქოს საეჭვო იყო, რომ ამ პატარა ხომალდს რაიმე დახმარების გაწევა შეეძლებოდა ვეებერთელა ტანკერისათვის. მაგრამ ზღვის სტიქიასთან ბრძოლაში გამოწრთობილი მეზღვაურები არ შეეპუენ მრისხანე ტალღებს. „სუჯუკი" მოხერხებულად მიუახლოვდა ტანკერს და ფოლადის გვარლი გამოაბა მას. ზღვასთან სამი საათის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ „სუჯუკის" მეზღვაურებმა ტანკერი „ფრიდრიხ ენგელსი" მშვიდობით შეიყვანეს ბათუმის ნავსადგურში.

„სუჯუკის" მეზღვაურებისათვის ეს პირველი შემთხვევა როდია. ქარსა თუ წვიმაში 8-9 ბალიან ღელვაში თავიანთი პატარა, მაგრამ მძლავრი დანადგარებითა და უახლესი საზღვაო მოწყობილობით აღჭურვილი ხომალდით ისინი უშიშრად შებმიან საფრთხეს და არაერთი საბჭოთა და უცხოეთის გემი გადაურჩენიათ.

„სუჯუკის" მამაცი ეკიპაჟის სული და გულია კაპიტანი გენადი კაჭარავა. „ზღვის ლომი", ასე შეარქვეს მას ამხანაგებმა. ის არ კითხულობს ღელვის სიძლიერეს, როცა რომელიმე გემია საფრთხეში, და დაუყოვნებლივ მიეშურება ადამიანებისა და სახალხო დოვლათის გადასარჩენად.

გ. კაჭარავა.

◆

კაპიტან გენადი კაჭარავას არაერთხელ დაუმსახურებია უცხოეთის გემების ეკიპაჟებისა და შავი ზღვის სანაოსნოს ხელმძღვანელობის მადლობა თავდადებული შრომისა და გაბედული რეისებისათვის გაჭირვებაში ჩავარდნილი გემების გადასარჩენად.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კაპიტანი გ. კაჭარავა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ხალხისა და სამშობლოს ამ მაღალი ყურადღებით აღფრთოვანებული კაპიტანი და „სუჯუკის" მთელი ეკიპაჟი ახლა შრომით ვახტზე დგანან და თავიანთ გაბედულ რეისებს მიუძღვნიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავს.

**ი. ქოიავა**



ოქროს მედალოსან საქართველოს ალპინისტთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — **დ. გუგავა, ი. გაბლიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ხ. გუგავა, გ. ხერგიანი, ლ. ახვლედიანი, ზ. ახვლედიანი.**

# ქართველ ალპინისტებს — 12 ოქროსა და 6 ვერცხლის მედალი

**მოსკოვი.** 10 დეკემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). ალპინიზმის საკავშირო ფედერაციამ შეაჯამა მიმდინარე წლის საკონკურსო ალპინისტური ასვლები.

პირველი ადგილი ტრავერსების კლასში მიეკუთვნა საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიციას, რომელმაც გაიარა 13 მწვერვალი ზულუმართისა და იმიერალაის ქედებზე პამირში. 12 მონაწილეს — **ლ. ახვლედიანს, ზ. ახვლედიანს, ჯ. მეძმარიაშვილს, გ. ხერგიანს, ი. გაბლიანს, თ. კუხიანიძეს, დ. დანგაძეს, დ. გუგავას, ო. ბერაძეს, ხ. გუგავას, ა. ახვლედიანს და გ. კობიძეს** მიეკუთვნა ჩემპიონის ოქროს მედლები და სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პირველი ხარისხის დიპლომები.

მეორე ადგილი ამავე კლასში დაიკავა „სპარტაკის" გუნდმა ვ. აბალაკოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც გაიარა 6 მწვერვალი მარშრუტით ძერჟინსკის პიკიდან მეცხრამეტე პარტყრილობის სახელობის მწვერვალამდე.

სასიმაღლო კლასში პირველი ადგილი წილად ხვდათ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებს ს. სავონის ხელმძღვანელობით. მათ დაიპყრეს რევოლუციის პიკი პამირზე. მეორე ადგილი მიეკუთვნა სპარტაკელებს, რომლებმაც ჩრდილოეთის მხრიდან დაიპყრეს ლენინის პიკი. ამ ასვლას ხელმძღვანელობდა ი. არკინი.

ტექნიკურად რთული ასვლების კლასში პირველი ადგილი მიენიჭა „ტრუდის" გუნდს (ხელმძღვანელი ა. სნესარევი) ჩრდილოეთ უშბაზე აღმოსავლეთი კედლით ასვლისათვის.

მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიცია დასავლეთ ჯანღაზე სამხრეთი კედლით ასვლისათვის. მოიერიშე ჯგუფში შედიოდა 6 მთამსვლელ — **ო. ხაზარაძე** (იერიშის ხელმძღვანელი), **შ. მირიანაშვილი, ა. ძიძიგური, გ. ბერძენიშვილი, ნ. ნადირაშვილი** და **ო. მანაგაძე.** ექსპედიციას ხელმძღვანელობდა **ა. ივანიშვილი.**

ამრიგად, **საქართველოს მთამსვლელებმა მიმდინარე წლის ალპინისტური სეზონი ბრწყინვალე შედეგებით დაამთავრეს. მათ 12 ოქროს და 6 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.**

## კომუნისტი სპორტი

# ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

**არცთუ** ისე შორეულს მიეკუთვნება გასული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები, და აი უკვე ჩვენს წინ არის ახალი სეზონის დებულებები — სიახლენი „ა" და „ბ" კლასის გუნდების მომავალ ასპარეზობებში.

როგორი იქნება 1961 წლის საფეხბურთო სეზონი?

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მიერ ახლახან მიღებული წინადადებანი სსრ კავშირის პირველობისა და თასის გათამაშების შესახებ.

ძირითადად მოწონებულია გასული ჩემპიონატის დებულება ზოგიერთი შესწორების გათვალისწინებით. ძალაში რჩება „ა" კლასში მონაწილე ფეხბურთელთა 22 კოლექტივის ორ ქვეჯგუფში ასპარეზობა, ხოლო შემდეგ მეორე ეტაპის, ანუ ფინალური ტურნირის მოწყობა. აქ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ თვითეული ქვეჯგუფიდან ფინალურ ტურნირში გავა არა 3 კოლექტივი, როგორც ეს იყო XXII ჩემპიონატში, არამედ 5 გუნდი, სადაც მეტოქეები ერთმანეთს შეეცილებიან პირველ 10 ადგილს. დანარჩენი გუნდები ითამაშებენ ერთ ჯგუფში მე-11 — 22-ე ადგილებისათვის.

ნავარაუდევია, რომ გუნდებს მეორე ეტაპზე ჩაეთვალოთ ქვეჯგუფის მატჩების შედეგები და განმეორებით არ შეხვდნენ ერთმანეთს. ამრიგად, სეზონში თვითეულ კოლექტივს მოუწევს 30-32 მატჩის ჩატარება.

**პირველ ქვეჯგუფში** შევიდნენ — „ტორპედო" (მოსკოვი), სკა (დონის როსტოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი), „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი), „დაუგავა-რეზ" (რიგა), „ავანგარდი" (ხარკოვი), „ტრუდი" (ვორონეჟი), „შახტიორი" (სტალინო), „ რტაკი" (ვილნიუსი), „ნეფტიანიკი" ქო);

**მეორე ქვეჯგუფში** არიან — „დინ (კიევი), „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „სპარტაკი" ( ვანი), „ბელარუსი" (მინსკი), „პახტა რი" (ტაშკენტი), „ზენიტი" (ლენინგ დი), „კაირატი" (ალმა-ატა), „კალ (ტალინი), „მოლდოვა" (კიშინიოვი).

„ბ" კლასის გუნდების ასპარეზობ დაიშვებიან ის გუნდები, რომლებმაც ასრულეს 1960 წლის პირველობის ბულებით გათვალისწინებული მოთხ ნები. რსფსრ პირველობის გათამაშე რჩება ხუთი ზონა, უკრაინაში იქნება მი ზონა, სამ ზონად მოეწყობა აგრე რესპუბლიკათა კოლექტივების ასპა ზობა. ნავარაუდევია რესპუბლიკის ნებში გათამაშება მოეწყოს 4 წ (2 მატჩი საკუთარ და ამდენივე მო აღმდეგის მოედანზე). შემოღებული ნება გადასასვლელი მატჩები; 1962 წ დან რსფსრ, უკრაინისა და მოკავშ რესპუბლიკების პირველობათა გათამა ბაში გამარჯვებულნი გადაყვანილ ბიან „ა" კლასში უკანასკნელ სამ გილზე გამოსული გუნდების ნაცვლა

—◆—

## სპორტული ქრონიკა

▲ **დამთავრდა** საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრე ფეხბურთში. დიდი ინტერესი გამოიწვია მე-19 ტურის მატჩმა ცნობილ საკლუბო გუნდებს „რესინგსა" და „რეიმსს" შორის. გაიმარჯვა „რეიმსმა" ანგარიშით 5:3. დღეისათვის საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია „რესინგი", რომელსაც 30 ქულა აქვს.

▲ **ბაქოს** „ნეფტიანიკმა" დაამთავრა ტურნე სუდანსა და ეთიოპიაში. საბჭოთა ფეხბურთელებმა ამ ქვეყნების გუნდებთან შვიდი საერთაშორისო მატჩი გამართეს და შვიდივე მოიგეს, ბურთების საერთო შეფარდებით 27:9.

# ამინდ

**12 და 13 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლუ ბა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებ მიმართულების სუსტი ზომიერამდე რი; ტემპერატურა დაბლობ რაიონ ღამით 2-7, დღისით 14-19 გრადუსი თბო, მთიან რაიონებში ღამით 0-5 დუსი ყინვა, დღისით 8-13 გრადუსი თბო.**

აღმოსავლეთ საქართველოში — რე მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღ სავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ ნი **სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ იონებში ღამით 0-5 გრადუსი დღისით 8-13 გრადუსი სითბო, რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი დღისით 4-9 გრადუსი სითბო.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი



**11 დეკემბერი**

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი' (დღისით), კარმენი (საღამოს, I აბონ. მე-4 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარული (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დღისით და საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მედოლე ქალი (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — უცნაური სტუმრები (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — სახელგატეხილნი (აბონ. № 4), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დაკარგული დრო (აბონ. № 16, 12 ს.), კაცი რომელიც იცინის (აბონ. № 13, 4 ს.) **თოჯინების ქართული** — ზარმაცი კიკო (11 ს.), ქაჯანა (2 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

**ტელევიზია:** 12.00 — „ზამთრის ფანტაზია" — მოსკოვის ანსამბლის „ბალეტი ყინულზე" სპექტაკლის ტრანსლაცია. კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედნიდან. ანტრაქტში — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად!, 14.30 — ინგლისური ენის გაკვეთილი, 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.10 — სატელევიზიო კინონარკვევი — „ლაგოდეხის ნაკრძალში" (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება), 20.25 — გადაცემა — „კინომოყვარულები", 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი — „მოსამართლე".

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:**

**თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05 პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოს — 8-81-65, განყოფილებების: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 8-20-43, მუშ-სოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.**

უე 05365

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.